საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ოთხშაბათი 2 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გამოდის დღის: 1 თვით 18 მანეთი [illegible] ცალკე ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, [illegible] სტრიქონის ადგილისა—1 მან. [illegible] განცხადებები 25 მან. [illegible] განცხადებები უნდა მოიტანონ [illegible] 12 [illegible] ხელთნაწერები არ იბეჭდება. [illegible]

[illegible] № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია, [illegible] რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: თფილისი, [illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 74 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 74

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდაწყვეტილი მშობლები: ქრისტეფორე ლაზარეს ძე და მეუღლე [illegible] გრიგოლის ასული, მეუღლე ოლღა, ძალი საშა, ძმები ივანე და სამსონი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

სიმონ (სიკო) ქრისტეფორეს ძე ივანიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე სად. 6 ს. დასაფლავება ხუთშაბათს 3 აპრილს. გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ჩუღურეთის შეს. № 16) ქაშვეთის ეკლესიაში, დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული [illegible] ძე გიორგი ზაქარიას ძე, და ბაბო (ვარო) ქრისტეფორეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

სიმონ (სიკო) ქრისტეფორეს ძე ივანიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 3 აპრილს საკუთარ ბინიდან (ჩუღურეთის შესახვევი № 16) ქაშვეთის ეკლესიაში, დასაფლავება პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (2—1)

მღვდელი [illegible] ივანე [illegible] ძე, დედა პელაგია [illegible] ასული, ძმა დიმიტრი ივანეს ძე, ბიძა ლუკა მიხეილის ძე ონოფრიშვილები, მამიდები: [illegible] და ნინა დანელია, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ოთხშაბათს 2 აპრილს სოფელ კავთისხევში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად მოკლული [illegible]

მიხეილ ივანეს ძე ონოფრიშვილის

სულის მოსახსენებლად.

ნატალია [illegible] ძე [illegible] აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველი შვილი, მეორისა ძმა [illegible]

სოლომონ (კუკუნია) ბექ[illegible]ს ძე ქუთელია

დასაფლავება სოფელ ლეწურწუმეში (ზუგდიდის მაზრა) დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება. (1—1)

ივანე, გრიგოლ, ვლადიმერ, ალექსანდრე და ზურაბი ვასილის ძენი ქუთელიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოთ და ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი ძვირფასი ბიძაშვილი

კუკუნია

დასაფლავება მოხდება სოფელ ლეწურწუმეში (ზუგდიდის მაზრა).

მიშა სიმონის ძე [illegible] აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს ძვირფას [illegible]

სიკო ივანიაშვილის

გარდაცვალებას.

პური

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმმართველობისა ამით აუწყებს ყველა ქარხნებს, სახელოსნოებს, საზოგადოებრივ და სხვა დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ ახლო მომავალში განყოფილება შეუდგება იაფ-ფასიან პურის გაცემას ზემო აღნიშნულ დაწესებულებათა მომუშავეთა და მოსამსახურეთა შორის.

ამისთვის საჭიროა სულ მოკლე ხანში წარმოდგენილ იქმნას სასურსათო განყოფილების პურის ბიუროში მომუშავეთა და მოსამსახურეთა სიები, თან ნაჩვენები უნდა იქმნას რიცხვი მათი ოჯახური შემადგენლობისა. სიები შემოწმებულნი უნდა იქმნან ბეჭდის დასმით დაწესებულებათა პასუხისმგებელ პირების მიერ. ქარხნების მომუშავეთა სიები შემოწმებულნი უნდა იქმნან მათი პროფესიონალური კავშირის გამგეობის მიერ.

(3—1) სასურ. განყოფილება ქალაქის თვით. გამგეობისა.

გამოვიდა ცალკე წიგნად ნოველების კრებული

დ. თურდოსპირელისა

„გაწყვეტილი ზღაპარი“

ფასი 5 მანეთი

საწყობი წიგნის მაღაზია „განათლებაში“ [illegible] ქ. 6. (5—5)

საქართველო და მისი მეზობლები

ფრიად საყურადღებო ნაბიჯი გადადგა ყუბანის მხარის საგანგებო რადამ. მან დაადგინა: მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რათა სისრულეში მოვიდეს რადის დადგენილება სახელმწიფოების შეკავშირებისა ფედერატიულ ნიადაგზე, რისთვისაც რადა ავალებს მთავრობას საჩქაროთ და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს მარტის [illegible] მოიწვიოს ქალაქ ეკატერინოდარში კონფერენცია დონის, ყუბანის, თერგის, დაღესტანის, ყირიმის, საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის და სხვათა წარმომადგენლებისაგან საკავშირო კონსტიტუციის შესამუშავებლად და მისაღებად.

ამავე დროს რადა საჭიროთ აღიარებს ბრძოლას, როგორც ბოლშევიზმის, ისე მონარქიზმის წინააღმდეგ.

ყუბანის რადის მიერ მიღებული დადგენილება მეტად საყურადღებოა. პატარა სახელმწიფოს არსებობა ძნელია, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად.

მაშასადამე მეზობლური კავშირი იმათთან, ვისაც ობიექტური პირობების გამო შეუძლია ჩვენთან საერთო ენის გამონახვა, დიდათ სასარგებლო და აუცილებელია. ასეთი სახელმწიფოებია ყველა დემოკრატიული ერთეულები, რომელნიც ჩვენ მეზობლათ იმყოფებიან.

მაგრამ, სამწუხაროთ, დღეს ამ საერთაშორისო დუღილის ხანაში, ყუბანის რადის დადგენილება საკავშირო კონსტიტუციის შედგენის და მიღების შესახებ, მხოლოდ თეორიულ [illegible] და განყენებულ სურვილების სფეროში დარჩება. საკავშირო კონსტიტუციის მისაღებათ, ფედერატიულ სახელმწიფოს შესადგენათ საჭიროა ერთგვარი პირობები, რომლებმაც თავის დროზე ხელი შეუწყვეს ინგლისის ყოფილ ახალშენებიდან ჩრდილოეთ ამერიკის ფედერატიულ შტატების შექმნას. ასეთი პირობები ჩვენში, ჯერ, სამწუხაროთ, არ არის. ყუბანს ჯერ კიდევ გარს არტყია დენიკინი, დონს ბოლშევიკები იმუქრებიან, აზერბეიჯანს კიდევ ოცნებობს დიდს ოსმალეთზე, ხოლო სომხეთი სავსებით არ განთავისუფლებულა რუსეთის „სიყვარულისაგან“, მიუხედავათ ამისა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყუბანის რადის წინადადებას სიხარულით უნდა შეხვდეს ყველა ის, ვინც დემოკრატიის ბედით არის დაინტერესებული. მართალია ჯერ ჯერობით, პრაქტიკულად შეიძლება მხოლოდ შეთანხმება „შემთხვევიდან შემთხვევამდე“, მაგრამ ამ გზით მომზადდება ნიადაგი შემდეგისათვის, როცა საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული და ჩვენი დამოუკიდებლობა [illegible] გარანტიითაც იქნება უზრუნველყოფილი. დღეს შეიძლება მხოლოდ ისეთი მეზობლური ურთიერთობა დავამყაროთ, რომ ეკონომიური ურთიერთობა და მიმოსვლა გაადვილდეს, კულტურულ პოლიტიკური ცხოვრება ყველა ამ ერთეულების ერთმანეთს დაუახლოვდეს. და როცა ყველგან გაიმარჯვებს იდეა დემოკრატიისა, ხალხის ბატონობისა და გაქრება სურვილი მეზობლის დაპყრობის, დაჩაგვრის, ოკუპაციის, მხოლოდ მაშინ დაიდება მტკიცე, მკვიდრი საფუძველი მჭიდრო კავშირის, შეკვრის, ფედერაციის თუ კონფედერაციის სახით.

ყოველ შემთხვევაში ყუბანის რადის წინადადება ჩვენ დიდათ საყურადღებოთ და სასარგებლოთ მიგვაჩნია. მარტო აზრთა გაცვლა-გამოცვლითაც რომ დათავდეს ეს კონფერენცია, იგი მაინც ხელს შეუწყობს ამ ხალხების ერთმანეთთან დაახლოვებას, ურთიერთის მისწრაფებათა გაგებას, და საერთო ენის და საერთო ინტერესების გამონახვას.

გაფიცვის კვირა.

(ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სხდომის გამო).

ეს კვირა—გაფიცვის კვირაა.

ეს პირველი გაფიცვაა დემოკრატიული ორგანოს წინაშე. ეს პირველი შემთხვევაა დემოკრატიის წინააღმდეგ შემობრუნების იმ იარაღის, რომელიც ამავე დემოკრატიამ გამოჭედა. ამიტომ არც კი უნდა გაგვიკვირდეს თუ ამდენს სწერენ და ამდენს ლაპარაკობენ ამის შესახებ.

ამბობენ: გაფიცვა მოხდა ეკონომიურ ნიადაგზე, ის შედეგია შიმშილის და სხ. ვთქვათ რომ ეს ასეა. ორი-სამი თვის განმავლობაში ჯამაგირის მიუღებლობა დღევანდელ პირობებში მართლაც რომ აუტანელია და ეს გარემოება ერთგვარ მორალურ თანაგრძნობას ქმნის გაფიცვის გარშემო. ასეა, თუ კითხვას გავსინჯავთ გაფიცულთა ინტერესის მიხედვით.

რომ გაფიცვა შედეგი იყოს ქალაქის გამგეობის დაუდევრობის, რომ გამგეობას მოსამსახურენი შეეწუხებინა, [illegible] მიეყვანა ამ მდგომარეობამდე, მაშინ უეჭველია მთელი ჩვენი სიმპატია გაფიცულთა მხარეზე იქნებოდა.

მარა უბედურებაც იმაშია, რომ თვითმმართველობა მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას დააკმაყოფილოს გაფიცულთა მოთხოვნილებები სავსებით. მან ყოველივე საშუალება იხმარა, რაც მის განკარგულებაში იყო. მარა—На нѣтъ, и суда нѣтъ, იტყვიან და მეტის გაკეთება მის ძალას აღემატებოდა.

დღეს ყველა ქალაქებს მეტად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. ომმა და რევოლუციამ საერთო ცხოვრება ძირიანად შეარყია; ნორმალური მდგომარეობა აიწეწ-დაიწეწა; შემოსავლები და ფინანსები წყალივით კლებას განიცდის. შემოსავლის წყარო დაშრა, გასავალმა ერთი-ასად იმატა. ბორბლის [illegible] ტრიალმა თან წაიყოლა ქალაქებიც და მისი არსებობა საეჭვო გახადა. ამას მოჰყვა მოსამსახურეთა მდგომარეობის [illegible].

აქედან მოსამსახურეთათვის მხოლოდ ორი გამოსავალი იყო: ან ატანა ასეთი მდგომარეობის, ე. ი. მოთმინება და მით ხელის შეწყობა საერთო [illegible], ან და გაცლა და თავის საკუთარი საქმის უკეთ მოწყობა სხვა ადგილზე და სხვა პირობებში. რომ ასე მოქცეულიყვნენ მოსამსახურენი, ე. ი. მათ ეთქვათ: დღემდის შევსძლით ასეთი მდგომარეობის ატანა, დღიდან კი ძალა აღარ შეგვწევს და ადგილი დაუტოვებიათ—ეს იქნებოდა მათი მხოლოდ რიგიანი საქციელი და ამ შემთხვევაში ვინ გაბედავდა მათ წინააღდეგ კრინტის დაძვრას?

მარა როცა ისინი ბრძოლას იწყებენ და ამ ბრძოლის იარაღათ გაფიცვას ყენებენ, ე. ი. მათ სურთ დაარღვიონ თვითმმართველობა, გადასჭრან მთელი ქალაქის მაცხოვრებლების არტერია, მისი ორგანიზმი სისხლიდან დასცალონ, რასაც უეჭველია მოჰყვება არევ-დარევა და ამ არევ-დარევით უხვად ისარგებლებს რევოლუციის ცხადი და მალული მტრები, ყველა [illegible] რევოლუციის [illegible] ეს საშიში შედეგები მოჰყვება ქალაქს, თუ გინდ ამისათვის საჭირო გახდეს გაფიცვის გარღვევა. ასე მოიქცა სოც.-დემ. პარტია. მის წინ იდგა დილემა: მოსამსახურეთა ნაწილი—თუ ქალაქის ბედი და რევოლუციის მონაპოვრები. მან აირჩია მეორე და არ გვგონია პროლეტარიატის ისტორიამ ეს ნაბიჯი პასუხში ჩაგვითვალოს.

ამ ფაქტს არ იზიარებენ ჩვენი ს.-ფედერალისტები. [illegible] განაცხადა: საქმე უნდა შეუთანხმდეს [illegible] მოსამსახურეთა შორის. საბჭო აქ არაფერ შუაშია. მაგრამ გარდა ამისა ვინ არ იცის, რომ ეს ასე არის. საბჭო და [illegible] ერთია და [illegible] როგორც შეიძლება თქვენც შეუთანხმდეთ და [illegible] გამოხვედით!

ამბობენ—გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი აქვს. შეიძლება. მარა, ჩვენი აზრით, მას თუ გინდ მხოლოდ ეკონომიური ხასიათი ჰქონდეს, ის მაინც მიუღებელია რევოლუციონური თვალსაზრისით, რადგან, როგორც ვთქვით, თვითმმართველობის დარგების შეჩერება ქმნის არევ-დარევას, ამწვავებს ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას, იწვევს უკმაყოფილებას და დაძაბულობას მოქალაქეთა შორის. ეს კი ხელს უწყობს არეულ მდგომარეობის [illegible] და ვისაც ეს არ სურს, ის უეჭველია ასეთ გაფიცვის წინააღდეგი იქნება. და ვისაც ამაში ხედავს რევოლუციის სიწმინდის შელახვას, მას ან არ ესმის რას ჩადის, ან და ისწრაფვის შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომლის პირდაპირი შედეგი კონტრრევოლუციაა.

განი.

„სოციალ-დემოკრატის“ ჯგუფის ფერისცვალება

ეს უკანასკნელი ხანია გაზ. „სოც.-დემოკრატის“ ჯგუფმა საგრძნობლათ იცვალა ფერი. მოულოდნელად შეიცვალა არამც თუ ტაქტიკური ნაბიჯები მოქმედებისა, არამედ თავის [illegible] სოციალდემოკრატიული რწმენაც კი. ეს ცვლილება გამოიხატა ამ ჯგუფის შეუჩნევლათ, თანდათანობით გაკომუნისტებაში.

დღეს ჩვენთვის, ამ ჯგუფის ორგანოს სამ უკანასკნელ ნომრის გაცნობის შემდეგ, უკვე აშკარაა, რომ მან გადაიარა კომუნიზმს ბოლშევიზმისაკენ, აღიარა საბჭოთა მთავრობა და თავის ორგანოში ცდილობს ბოლშევიკების საბჭოთა კონსტიტუციის პოპულარობას და სიმპატიას მოუპოვოს ჩვენშიაც.

ჯერ იყო და გაზ. „სოციალ-დემოკრატმა“ თავის გაბოლშევიკება შეიფერადად გვიმცნო თავის წერილში კომუნისტების „ინტერნაციონალის“ შესახებ. აქ გაზეთი უკვე არ მალავს თავის სიმპატიას მოსკოველ ბოლშევიკების მიერ შეთხზულ „ინტერნაციონალისადმი“, უდიდეს როლს აწერს მათ ამ საქმის შექმნაში და იმედს გამოთქვამს, რომ ბოლშევიკ კომუნისტების ინტერნაციონალი ნიადაგს მოიპოვებს ევროპის მუშათა მოძრაობაში.

შემდეგ იმავე ნომერში რევოლუციის წლის თავის წერილი უფრო ნათლად აშკარავებს ჯგუფის ბოლშევიკურ სულისკვეთებას.

„სოც.-დემოკრატი“ 59 ნომერში „ზარის“ საპასუხო წერილში ვკითხულობთ: „ლაპარაკი რევოლუციონურ დროში ძალა უფლების [illegible]ში ჩადების დაუშვებლობაზე, ყველა დემოკრატიზმის შესაძლებლობის გამოყენებაზე, დაპირდაპირება ხალხის სუვერენიტეტის საბჭოთა მთავრობის წინ აღმდეგ—ეს უდრის იგივე პარლამენტარულ კრეტინიზმს, რომელსაც არას დროს არ იზიარებდა რევოლუციონერი სოციალდემოკრატია“.

ამ ამონაწერიდან ჩვენ ვხედავთ „სოც.-დემოკრატის“ ჯგუფის მიერ ქედის მოხრას ბოლშევიკურ საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე.

მაგრამ თუ რამდენათ შეურიგდა და შეეთვისა ეს ჯგუფი კომუნისტების ბატონობას, ამაში უფრო ადვილად გვარწმუნებს მისი ორგანოს უკანასკნელ ნომერში (60) მოთავსებული წერილი საბჭოთა რუსეთის შესახებ. ეს წერილი შეიცავს აღწერას და შთაბეჭდილებებს რომელიც მოუხდენიათ ბოლშევიკების სამეფოს ვინმე ა. ს—ზე, და წარმოადგენს მთელ რიგს კომპლიმენტებისას, ხოტბა ქებას, ერთ დითირამბულ ლითანიას საბჭოთა რუსეთის მიმართ.

ავტორი გაკვირვებულია, თუ როგორ დამახინჯებული წარმოდგენა ქონიათ თფილისში ბოლშევიკურ რუსეთის შესახებ, ის თითქოს აღშფოთებულია ასეთი ფაქტით. სამაგიეროთ მისი აღწერით კომუნისტების სამეფო დღეს წარმოადგენს ნამდვილ სამოთხეს. ავტორის აზრით, რუსეთის პროლეტარიატმა ამ ორი წლის ხანში ძალა უფლება ბოლშევიკების სახით დაიწყო წარმოების დაფუძნება ახალ, სოციალურ პრინციპებზე. დღეს კი ამ მუშაობის დაგვირგვინებაა. ყველაფერი თავის რიგზეა: წარმოება განიცდის უდიდეს აღორძინებას, ყველა დარგში სოციალიზაცია (ახლებიც კი), ყველაფერი ბოლშევიკებს ემსახურება, ყველა მას შერიგებია, ყველაფერი მიმართულია საბჭოების განმტკიცებისადმი, კოოპერატივები, პროფესიონალური კავშირები, ინტელიგენცია, პოლიტიკური პარტიები, ოფიცრობა, გენერლები, წითელი არმია მაგალითს წარმოადგენს თავის შემადგენლობით და შეკავშირებით.

ერთი სიტყვით კ. ს. არ ზოგავს ფერებს, რომ მკითხველი დაარწმუნოს ბოლშევიკების სამეფოს სამოთხის მაგვარ პირობების არსებობაში, ასე გასინჯეთ, სიძვირეც მოუსპია, სურსათი გაიაფებულა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით, თუ რამდენათ შეეფერება სინამდვილეს ეს აღწერა. ჩვენ დღეს გვსურს მივუთითოთ იმ პოზიციაზე, რომელიც დაიჭირა ამ ბოლო დროს გაზ. „სოციალ-დემოკრატმა“. ეს პოზიცია კი აშკარა ბოლშევიკურ-კომუნისტურია.

ჩვენ კი ერთხელ კიდევ უნდა განვაცხადოთ, რომ, რაც უნდა ცვლილებანი და მოძრაობა ხდებოდეს დღეს ევროპაში, რაც არ უნდა უახლოვდებოდეს ეს მოძრაობა რუსეთულ ბოლშევიზმს, ჩვენი, როგორც სოციალ-დემოკრატების, როგორც მარქსისტების, პოზიცია რჩება ძველი: კომუნიზმის წინააღმდეგ მარქსისტული სოციალიზმი, კოლექტივიზმი, საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ დემოკრატიული სახელმწიფო, აგებული საყოველთაო არჩევნების ნიადაგზე. ჩვენთვის სოციალიზმი განუყრელია დემოკრატიისაგან.

ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა განვაცხადოთ კარლ კაუცკის სიტყვებით, რომ „პროლეტარიატისათვის ორივე ერთნაირათ საჭიროა: დემოკრატია და სოციალიზმი. დემოკრატია, ე. ი. რაც შეიძლება ფართო თავისუფლებანი და პოლიტიკური უფლებანი ხალხის მასისა, სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებათა ხალხის მასის იარაღათ გადაქცევა. შემდეგ კი—სოციალიზმი, ე. ი. კერძო წარმოების განსაზოგადოებრივება. ორივე პროლეტარიატისათვის ერთნაირათ საჭიროა, საზოგადოებრივი წარმოება უდემოკრატიოთ საზოგადოებას უსაშინელეს უღელს დაადგამდა“ („რუსეთის რევოლუციის პერსპექტივები“, ჟურ. „ლეტოპის“ 1917 წ.)

ვინც ამ დებულებას ღალატობს, ის სოციალ დემოკრატიათ ვერ დარჩება. ჩვენ ამას ვ[illegible] თავიდან და ახლაც ამ გზას მტკიცეთ ვადგავართ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელის დღევანდელი [illegible] მოძრაობა ჩადგება კაუცკის მიერ ნაჩვენებ კალაპოტში, ან და ის დაიღუპება რეაქციის მორევში.

„სოც.-დემოკრატის“ ჯგუფმა უღალატა ამ ძველ და ნაცად გზას მარქსიზმისას და ქედი მოიხარა ბოლშევიკურ კომუნიზმის წინაშე. თუ დღევანდლამდი ჩვენ შორის განხეთქილება იყო არა პრინციპიალური, მხოლოდ ჩვენ დამოუკიდებლობის გარშემო, დღეს განსხვავება უფრო გაღრმავდა, შეიქნა პრინციპიალური. აქამდი ჩვენ მათ უმთავრესათ პირველ კითხვის შესახებ ვებრძოდით, დღეს კი ბრძოლა უნდა დაერქვას გაორკეცებული, რომლის მიზანი იქნება მათი ნამდვილი ბოლშევიკურ სულის კვეთების გამომჟღავნება.

ალ. ყ—ნი.

საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა სომხეთის მიერ.

ადგილობრივ გაზეთებში მოყვანილი იყო ცნობა საქართველოს მთავრობისა სომხეთის მთავრობის მიმართ, სადაც საქართველოს მთავრობა სცნობს სომხეთის რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამის საპასუხოდ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სომხეთის მთავრობისაგან შემდეგი შინაარსის ნოტა მიიღო:

„საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. 24 მარტი, 1919 წ. № 824.

საქართველოს მთავრობასთან მყოფმა ჩვენი მთავრობის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა გადმომცა მე ნოტა მიმდინარე წლის 8 მარტის თარიღით № 1664, სადაც თქვენ, ბ-ნო მინისტრო, აცნობებთ სომხეთის მთავრობას, რომ საქართველოს მთავრობა სცნობს სომხეთის რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

სომხეთის მთავრობა სავსებით იზიარებს იმ მოსაზრებებს, რომლის ძალითაც საქართველოს მთავრობამ საჭიროდ დაინახა შეეტყობინებინა აღნიშნულ ნოტით სომხეთისთვის, რომ ის სცნობს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ღრმად დარწმუნებული, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ რესპუბლიკებს საერთო ინტერესები და მიზნები აქვთ მთელ რიგ კითხვებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ მტკიცე არსებობისა და აყვავებისათვის, სომხეთის რესპუბლიკა მოხარულია და აღნიშნავს საქართველოს მთავრობის ამ აქტში სოლიდარობისა და ურთიერთო კავშირის დამტკიცებას.

თავის მხრივ სომხეთის მთავრობა თავის მოვალეობად სთვლის დაარწმუნოს თქვენი მთავრობის წინაშე, რომ ის სცნობდა და სცნობს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს“.

სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ტიგრანიანი.

ფინანსთა სამინისტროში

თანახმათ ფინანსთა მინისტრის წარდგენისა მთავრობამ დაადგინა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროები გაერთიანდეს და დაიყოს ორ დეპარტამენტათ: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტებათ. ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორათ დაინიშნა ს. ჭანტურიშვილი, ვაჭრობა-მრეწველობის დ. [illegible].

ფინანსთა მინისტრს სამი ამხანაგის მაგიერ (გაუქმებულ კომიტეტის თავმჯდომარეც მინისტრის ამხანაგათ ითვლებოდა) ეყოლება ერთი ამხანაგი. გაუქმებულია აგრეთვე თანამდებობანი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის კანცელარიის დირექტორებისა. ფინანსთა სამინისტროში ახლა დიდი მუშაობა სწარმოებს ბიუჯეტის დაწყებით შედგენის შესახებ. ყველა სამინისტროებს არ წარუდგენიათ საჭირო ცნობები და ზოგიც მასალები უკან დაუბრუნდა შესასწორებლათ, ბიუჯეტ-აღრიცხვა მზათ იქნება მაინც რამდენიმე დღეში. ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი გაუქმებულ კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ მუშაობს, რადგან იგი არ [illegible] იმ სახით, რომლითაც დღემდე არსებობდა ვერ გაამართლა დანიშნულება

დღეს

სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა ჩვენს მთავრობას, რომ სომხეთი საქართველოს რესპუბლიკას სცნობდა და ახლაც სცნობს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ტრაპიზონის ვილაეთში და ბათუმის ოლქში ოსმალეთის მთავრობის აგენტები ხალხში აგიტაციას ეწევიან მებრძოლი რაზმების შესადგენათ.

გერმანიამ უარი განაცხადა დროებითი ზავის იმ პირობის შესრულებაზე, რომლითაც მოვალე იყო ნება დაერთო მოკავშირეთა ჯარებისთვის დანციგით პოლონეთისაკენ წასულიყო.

ბოლშევიკების ცნობით, საზავო კონფერენციამ გადაწყვიტა დანციგი არ გადასცეს პოლონეთს, რადგან ამის გამო გერმანია ენერგიულ პროტესტს აცხადებს.

პოლონეთისა და უკრაინას შორის დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ მოლაპარაკება განახლდა.

ეკატერინოსლავის გუბერნიაში საბჭოთა ჯარები წინ მოიწევენ და ავიწროვებენ დონის მოხალისეთა ჯარს.

და მრავალი ზედმეტ მიწერ მოწერას იწვევს. შესაძლებელია იგი იმ სახით, როგორც ახლა არსებობს, სრულიად გაუქმდეს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 აპრილი

გერმანული პრესის ცნობები.

ტორნის ობერ-ბურგომისტრს დოქტორ გასსეს ცენტრალურმა მთავრობამ დაავალა მონაწილეობა მიიღოს წინასწარ ზავის მოლაპარაკებაში.

დროებითი ზავის შეკვრის დღიდან 1918 წლ. ნოემბრის 11-დან დასავლეთ პრუსიაში, პოზნანსა და დანციგში მდგომარეობა შეიცვალა, დანციგში პოლონეთის ჯარის გადმოსხმის გამო მოსახდარი ამბები საფრთხეში აგდებს წესიერებას, არ არის იმის გარანტია, რომ პოლონური უმცირესობა წყნარად იქნება, თუ გალერის ჯარი დანციგში გადმოსხეს. გერმანიის მთავრობას მოსდის ცნობები მრავალგან გამართულ დემონსტრაციების და პროტესტების განცხადების შესახებ, რის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანელთა უმრავლესობა დიდ წინააღმდეგობას გაუწევს პოლონელთა აგრესიულ მოქმედებას. ამ ჟამათ სრული სიწყნარეა, მაგრამ თუ ეხლანდელ მდგომარეობაში ჯარის გადმოსხმამ სისხლის ღვრა გამოიწვია, საფრთხეში ჩავარდება გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტი, რომელსაც რუსეთის ბოლშევიზმისაგანაც საფრთხე მოელის. გერმანიის მცირე რიცხოვან ძალას, რომელიც რუსეთის საბჭოთა ჯარს აჩერებს, ზურგითაც მტერი ჰყავს და ამნაირათ ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული. ამ შემთხვევაში დასავლეთ პრუსიისა და პოზნანისკენ გზა იხსნება. საკითხის დაბეჯითებით გამოკვლევის შემდეგ გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ მას არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა იმ ზომებისა, რომლებიც სამოქალაქო ომს შესაძლებლად ხდიან. პირიქით, გერმანიის მთავრობა, როგორც წინათ, მზათაა ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს გალერის ჯარის გადმოსხმას შტეტინში, კენისბერგში, მემელში, ან ლიბავაში და მით დაეხმაროს მოკავშირეებს მათი მიზნების მიღწევაში. გერმანიის მთავრობა სრულიად გარკვევით აცხადებს, რომ მზათაა იგი ხელი შეუწყოს გალერის ჯარის გადმოსხმის და პოლონეთში გაგზავნის დაჩქარებას.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი, მარტის 31. სამხრეთის ფრონტი. იუზოვის რაიონი: ჩვენმა ნაწილებმა სალგური დაიკავა და მანდრიკინო დაიჭირა. იუზოვის სამხრეთ დასავლეთით შეტევა გრძელდება. ლუგანის რაიონი: პერეიზონოვკას მიმართულებით ჩვენმა ჯარმა შეტევა დაიწყო რკინის გზასთან. სოფ. ლუგანის სამხრეთ აღმოსავლეთით კომისაროვკა დავიჭირეთ. ბუდაპეშტი, მარ. 30. უნგრეთის პროვინციის მცხოვრებნი რევოლუციის მხარეზე გადადიან. ტიროლის მკვიდრი მცხოვრებნი იტალიის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგი არიან. ინსბრუკში დემონსტრაციების დროს მრავალი მოქალაქე მათრახით მოკლულია იტალიელების მიერ. პოლონეთში კომუნისტური მოძრაობა იზრდება. ვარშავაში 70,000 მეტზე უმუშევარია, რომელთა შორის უმეტესი ნაწილი ბოლშევიკია. ლიონი, მარ. 30 საზავო კონფერენციამ გადაწყვიტა დანციგი არ გადასცეს პოლონეთს, რადგან გერმანია ენერგიულ პროტესტს აცხადებს. პარიზი, მარ. 30. განახლდა მოლაპარაკება დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ პოლონეთისა და უკრაინის შორის. ლიონი მარტის 30. საფრანგეთის მოთხოვნილებამ საზავო კონფერენციას საშუალება მოუსპო გამოსავალი ნახოს. მთელი კვირის თათბირმა უნაყოფოთ ჩაიარა. ფრანგები მოითხოვენ მთელ საარის ოლქს, სანამ გერმანელები ფულს არ გადაიხდიან.

რეიტერის სააგენტოს ცნობები.

საფრანგეთის რკინის ჯარის სარდალი გენ. მანჟენი პარიზს გაიწვიეს, ფიქრობენ, რომ ეს გამოიწვია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარმა ამბებმა.—„დეილი მეილი" იუწყება: პრესა რწმენას გამოსთქვამს, რომ გენ. მანჟენმა „ესპანიის შავი არმია" შექმნა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ომის დროს. მოკავშირეთა შორის მას დიდი სახელი აქვს. მას დავალებული აქვს გაერთიანოს მოკავშირეთა გაბნეული არმია, რომელიც ეხლა პირდაპირ შეეჯახა ბოლშევიკებს. „ტაიმსი" იუწყება, რომ ზომებს იღებენ გენ. ჰოლნის გასაგზავნათ.

გერმანიამ უარი განაცხადა დროებითი ზავის იმ პირობის შესრულებაზე, რომლითაც გერმანია მოვალე იყო ნება დაერთო, რომ მოკავშირეთა ჯარი დანციგში გადმოესხათ და რკინის გზით პოლონეთისკენ გაეშვა.

„ტაიმსი" ამბობს: გერმანიის ხმამაღლა წუხილი, რომ ზავის პირობები, რომლებსაც ეხლა პარიზში იმუშავებენ ძალიან მძიმეა, არავითარ გავლენას არ მოახდენს კონფერენციაზე, რომელიც დაბეჯითებით იკვლევს საშუალებას გერმანიაში წესიერების აღსადგენათ.

„დეილი-მეილი" იუწყება აღმოსავლეთში ბოლშევიკური ფრონტის შესახებ შემდეგს: ადესა. მდგომარეობა კარგია. მოკავშირეთა შავი ზღვის სარდლობას არავითარ ადგილობრივ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღია. უკრაინა. პეტლიურას ჯარი კიევიდან 80 მილზე სდგას, საიდანაც ბოლშევიკები შეავიწროვეს. პოლონეთი. პოლონელები სლონიმს აღმოსავლეთით უტევენ. მათ დაიჭირეს ბარანოვიჩი, დასავლეთით ძველ პოლონეთის საზღვარის 150 მილზე. ბოლშევიკების უკან დახევა საშუალებას აძლევს მათ უკრაინას შეუტიონ. ბალტიის მხარეს ესტონიაში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. ჩრდილოეთ რუსეთი. დვინზე მაისში მოელიან სამხედრო მოქმედებას. აღმოსავლეთ რუსეთი. გენერალ გაიდას ჯარი ადმირალ კოლჩაკის სარდლობით ავიწროვებს მტერს ასი მილის მანძილზე ოსიდან ზემო-კამამდე. გენერალ ხანჟინის ჯარი სამხრეთით უფამდე შეტევაზე გადავიდა. უფისა და ბირსკის ალების შემდეგ ბოლშევიკები დასავლეთით იხევენ.

ახალი ამბები

◆ **ტრაპიზონის ვილაეტში,** შავი ზღვის პირად მდებარე ადგილებში ოსმალთა აგენტები ხალხში აგიტაციას ეწევიან მებრძოლი რაზმების შესადგენათ. როგორც გადმოგვცემენ ოსმალთა აგენტები მხნედ მუშაობენ აგრეთვე ბათუმის ოლქში.

◆ **ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის გარშემო.** ქალაქის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა გაფიცვას გმობს და სავსებით მხარს უჭერს ქალაქის დემოკრატიულ საბჭოს და პროფესიონალურ კავშირების საბჭოს. რედაქციას აუარებელი დადგენილებები მოსდის სხვადასხვა მუშათა სახელოსნოებიდან და ორგანიზაციებიდან. ნაძალადევის პირველი რაიონის სახალხო გვარდიელების და რკინის გზის მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშებმა 26 მარტის სხდომაზე განიხილეს რა ქალაქის მოსამსახურეების ერთი ნაწილის გაფიცვა, პროტესტს უცხადებს გაფიცულებს და სთხოვს მთავრობას გადასდგას გაბედული ნაბიჯები შავრაზმელების ასალაგმავათ. ასეთივე დადგენილება მიიღეს ორთაჭალის სახალხო გვარდიის, მეჩექმეთა და მკერავთა სახელოსნოს მუშებმა, საქართველოს რკინის გზის სამმართველოს ქვეკოლექტივმა ასეთივე დადგენილება გამოიტანა, ბოლხანოვის აქციონერთა საზოგადოების ყველა დარგის მუშებმა თავიანთ საზოგადო კრებაზე დაგმეს ქალაქის მოსამსახურეთა მოქმედება და სასტიკი პროტესტი განუცხადეს მათ.

◆ **აფთიაქის პატრონთა და მოსამსახურეთა** შორის კონფლიქტის გამო 28 მარტს შრომის კომისარიატში მოწვეულ იქნა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ორივე მხარის წარმომადგენლებმა. თათბირზე მხარეებმა განაცხადეს: 1) მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება არ შეიძლება დამოკიდებულ იქნას მედიკამენტებზე ნიხრის მომატებაზე. 2) აფთიაქებში გაფიცვა დაუშვებელია, ვინაიდან ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქის ავათმყოფთა მცხოვრებლები უწამლოთ დავტოვოთ. 3) თუ ამ თათბირზე არ მოხდება შეთანხმება, კითხვა გადაეცეს გადასაწყვეტად საარბიტრაჟო კომისიას, რომელიც არჩეულ უნდა იქნეს ორივე მხრით პარიტეტულ ნიადაგზე ნეიტრალური თავმჯდომარით; კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იქნეს ორივე მხარისათვის. 4) თუ რომელიმე მხარე უარს განაცხადებს საარბიტრაჟო კომისიაზე, კითხვა გადაეცემა გადასაწყვეტათ შრომის სამინისტროს პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან ერთად. 5) მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს კონფლიქტის საარბიტრაჟო კომისიის გადაცემაზე, აფთიაქის პატრონები არ დაყაბულდნენ საკითხის საარბიტრაჟო კომისიაზე გადაცემას და განაცხადეს, რომ ისინი მიმართავენ ცენტრალურ მომრიგებელ კამერას. დასასრულ აფთიაქის მეპატრონეთა კავშირის თავმჯდომარე ჯანელიძემ მიზან-შეწონილად დაინახა, რომ კითხვა ხელმეორედ გადაეცეს განსახილველად ორივე მხარეს გარეშე პირის ჩაურევლად, რაც მიღებულ იქნა თათბირის მიერ. უკანასკნელად გამოირკვა, რომ შინაურ თათბირზე შეთანხმება არ მოხდა და მიღებულ იქნა კითხვა გადაეცეს საარბიტრაჟო კომისიას.

◆ **ხელადნოვის თამბაქოს ქარხნის** მუშებმა განუცხადეს შრომის კომისარს, რომ მათ თავის დროზე არ უჩენენ საქმიო დახმარებას. ამიტომ შრომის კომისარმა მიმართა ქარხანა-ფაბრიკათა საზოგადოებას, რათა ხსენებულ მუშებს თავის დროზე აღმოუჩინონ საქმიო დახმარება.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება ორთაჭალაში.** კვირას ორთაჭალაში, ადგილობრივ მუშათა კლუბის შენობაში ქართული სექციის თაოსნობით გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტის მე-4 განყოფილება ლექციების კითხვა და მეცადინეობა დაიწყება 4 აპრილიდან საერთო უნივერსიტეტის პროგრამით.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მესამე განყოფილებაში (ჩუღურეთი) დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1) ჯ. ქავთარაძისა—„ისტორია" და 2) ალ. ღორღანელისა—„ფსიქოლოგია".

◆ **თელავის სამაზრო კომისარი** ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ 25 მარტს, დილა ადრიანად მომწყვდეულ იქნა ყაჩაღთა ბინა. მოკლულ იქნენ: მეთაური დ. დეეჩიოღლი. ა. რ. მამედ ოღლი, მ. აჯი მამედოღლი, დატყვევებულ იქნენ: ომარ-ოღლი, მამედ აჯი ოღლი, და დაჭრილ იქნა მ. იმამ მირზა ოღლი. ერთი ყაჩაღი ი. უსუპ ოღლი დაიჭრა მაგრამ მოასწრო დამალვა. მიღებულია ზომები მის დასაჭერად.

◆ **მკვლელობა.** 30 მარტს ღამით ვორონცოვის ქუჩაზე, სახალხო გვარდიელმა ა. აჯარ-ოღლიმ რევოლვერით მოჰკლა სახალხო გვარდიელი მაზანდარანელი ისკანდაროვი. მკვლელი დაატუსაღეს.

◆ **თავის დახრჩობა.** 30 მარტს, საღამოს 7 საათზე მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო უცნობი ქალი, რომელიც რამოდენიმე წუთის წინათ დიდი მოედნის ქუჩაზე სეირნობდა ერთ ოფიცერთან. დახრჩობილის გვამი მე-7 კომისარიატში წაიღეს. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ქურდობა.** ამ დღეებში სამხედრო უწყების ყოფილ გიმნაზიის პანსიონიდან ბოროტ-გამზრახველებმა მოიპარეს 10,000 მანეთის ღირებული თეთრეულება.

— 29 მარტს ღამით შერეკინის სარდაფიდან, პასტერის ქუჩა № 2, ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 9100 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

კრებები

3 აპრილს, ხუთშაბათს, საღამოს 4 საათზე შესდგება მესამე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საზოგადო კრება. კოლექტივის ბინაზე.

— ოთხშაბათს 2 აპრილს, საღ. 5 საათზე, ერის პირველ მუშათა კლუბის დარბაზში (ოლღას ქ. 29) დანიშნულია ს. ს. დ. მ. კ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის ქალთა ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღ. 5 საათზე თავის ბინაზე (ოლღას ქ. № 29) დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საფინანსო კომისიის სხდომა.

— 2 აპრილს საღ. 6 ს. კადეტთა კორპუსის შენობაში დანიშნულია ქართველ მასწავლებელთა საერთო კრება (ქალაქის სკოლების).

ბეჭდვითი საქმის მუშათა შორის

(16 მარტის არჩევნების გარშემო შექმნილ მდგომარეობის გამო).

საქართველოს დამოუკიდებლობამ ბევრი მტერი გაგვიჩინა, და უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ შორის არა მარტო რუსის ყოფილი რეაქციონერი ჩინოვნიკობა, არამედ, რუს სოციალისტთა ის მუშა-ინტელიგენტებიც კი, რომლებთანაც ჩვენ, მთელი ჩვენი რევოლუციონური წარსული თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაგვიტარებია ერთ მებრძოლ ორგანიზაციებში, რომ მათთან გვაერთებდა და გვასულდგმულებდა ერთი იდეალი, ერთი მიმართულება.

ხალხის ძლევამოსილებამ სძლია ცხოვრების უკუღმართობას. დიდმა რევოლუციამ გადმოისროლა ლოზუნგი ერთა განთავისუფლებისა.

ამ დემოკრატიულ პრინციპის თანახმად ავაგეთ ჩვენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც დაცულია ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, განურჩევლად ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა.

კავშირის კრებაზე ჩვენ მოვითხოვეთ ელაპარაკათ ქართულ ენაზე, როგორც ჩვენთვის უფრო გასაგებ ენაზე.

მათგან-კი მივიღეთ საერთოდ გაკიცხვა, ასეთი დაუმსახურებელი გაკიცხვა მუშის გულის სიღრმიდან ჯერაც არ გამქრალიყო, რომ „ნაროდნოე ზნამიას" ფურცლებზე კვლავ მოგვევლინა პროფესიაში კარგად ცნობილი ბერგმანი, თავისი ძველი დეზორგანიზატორული დემაგოგიით, რომელიც სხვათა შორის ამბობს: „ქართველებმა შარშანაც მოითხოვეს კავშირის ნაციონალიზაცია, დღევანდელი გამგეობა ნაციონალისტურიაო" და სხვა....

რაშია საქმე?

თურმე ნუ იტყვით, ბერგმან-ივანოვებისა და კაპანის ბანკში ამ შავ-ყვარებიანთა რაზმში ნერვიული მდგომარეობა შეუქმნია იმ გარემოებას, რომ 16 მარტს ბეჭდვითი საქმის მუშებმა თავის საზოგადო კრებაზე გადააყენეს 9 მარტის არჩეული გამგეობა, რომელიც თავის პოლიტიკით ეწინააღმდეგებოდა მასის საერთო მისწრაფებას.

ანბანური ჭეშმარიტებაა და ჩვენც ვიტყვით, რომ პროფესიონალური კავშირი, ეს არის ეკონომიური ორგანიზაცია, და ვინაიდან ხსენებულ ორგანიზაციის წევრნი ერთსა და იმავე დროს ითვლებიან პოლიტიკურ ორგანიზაციის წევრებად, რომელთაც აქვთ გარკვეული გზა პოლიტიკურ შემოქმედებისა, და რომელსაც მივყავართ ჩვენ საქართველოს დამფუძნებელ კრებამდე, ცხადია, ამ პოლიტიკურ ორგანოებთან პროფ. კავშირების დამოკიდებულება ყველგან და ყოველთვის უნდა იყოს მიზან შეწონილი, და არას შემთხვევაში საერთოდ დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული მავნე ექსპერიმენტებს იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

ჩვენს ხელთაა მთელი რიგი საბუთებისა იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები, თუ ბოლშევიკურად მ აზროვნე ჩვენი ქვეყნის მტრები, როდესაც კი მოექცნენ კავშირის ხელმძღვანელ ორგანოში,—მოღვაწეობდენ თავიანთ ფრაქციული ინტერესების მიხედვით, წინააღმდეგ კავშირის წევრთა საერთო ნებისყოფისა.

ჯერ კიდევ შარშან, მათ გამოაცხადეს მთავრობის საპროტესტოთ საერთო პოლიტიკური გაფიცვა, იმის გამო, რომ მთავრობამ დახურა ბოლშევიკების ორგანო, რომელიც გაავფთრებული მოუწოდებდა ჯარსა და ხალხს აჯანყებისკენ არსებულ მთავრობის დასამხობად.

მათ თავიანთი პრინციპიალური ქუ-

საქართველოს ფინანსიური და ეკონომიური საკითხები*)

I

საქართველოს რესპუბლიკის 1918 წ. ბიუჯეტი დასრულდა 260 მილ. დეფიციტით. თუ მხედველობაში მივიღებთ პოლიტიკურ მდგომარეობის შესაძლებელ გართულებას, ახალ სამხედრო ოპერაციების საჭიროებას, გადამდებ სენთა გავრცელებას და სიძვირეს, მიმდინარე 1919 წლის საბიუჯეტო დეფიციტი შესაძლებელია 700 მილ-ს აღემატოს, რაც წარსულ წლის დეფიციტთან შეადგენს თითქმის ერთ მილიარდ მანეთს.

ამნაირი დეფიციტის აუცილებლობა აიხსნება ვაჭრობა-მრეწველობის საზოგადო მდგომარეობით, ჩვენი შრომის მცირე ნაყოფიერებით და, ამასთან დაკავშირებული, სახალხო მეურნეობის შემოსავლის სიმცირით და მცხოვრებლების სიღარიბით. ამის შედეგი კი ის არის, რომ სახელმწიფო ხაზინაში შემოდის მეტად მცირე შემოსავალი. ამ დიდი დეფიციტის აუცილებლობა ნათელი გახდება შემდეგი შედარებიდან: გერმანელი ხალხის საშუალო შემოსავალი ომის დაწყებამდე უდრიდა 300 მან. სულზე, რუსეთში კი, რომლის ნაწილიც ჩვენ ვიყავით, საშუალო შემოსავალი თვითეულ სულზე არ აღემატებოდა 60—70 მან., ე. ი. საშუალო შემოსავალი სულზე რუსეთში 4, 5 ჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე გერმანიაში. მაგრამ საქართველოსთვის ეს ნორმაც (60—70 მან.) შემცირებულ უნდა იქნეს, თუ გავითვალისწინებთ 1917 წლის გაწერილ პირდაპირ გადასახადებს და ჯამს ხაზინაში შემოსულ არაპირდაპირ გადასახადებისას იმავე წელიწადში, საშუალო შემოსავალი სულზე ჩვენს ქვეყანაში უნდა ვიანგარიშოთ არა უმეტეს 50—60 მან. (1917 წ. საქართველოს ტერიტორიაზე ყოველნაირი გადასახადი შემოსულა 26 მილ., რაც შეადგენს სულზე 10,4 მან.)

გერმანიაში—იმპერიაში და მოკავშირე სახელმწიფოებში—1911—1913 წ. წ. სახელმწიფო გადასახადი შეადგენდა დაახლოვებით 10 მილიარდ მარკას ან 24% ხალხის მთელი შემოსავლისას, რომელიც იმ წლებში უდრიდა 42 მილიარდ მარკას. ამნაირათ თვითეული მცხოვრებლის დაბეგვრა უდრიდა 150 მარკას ანუ 70 მანეთს, ე. ი. ერთ სულზე გაწერილი გადასახადი გერმანიაში აღემატებოდა 10—20 მანეთით ჩვენი რესპუბლიკის თითოეულ სულის საშუალო წლიურ შემოსავალს (50—60 მ.)

ომით გამოწვეულ ხარჯების გამო 1916 წლის დამლევს გერმანიაში ელიდენ გადასახადთა გადიდებას 50 პროცენტით, ე. ი. 105 მან.-ყვანას სულზე. ასეთი გადიდება გადასახადებისა გერმანიისათვისაც კი, სადაც ვაჭრობა-მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა უმაღლესად იყო განვითარებული, თითქმის აუტანელად და ქვეყნის დამღუპველად მიაჩნდათ.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს ტეხნიკურ რესურსებს და საზოგადოთ ჩვენს ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთვის სრულიად მიუღებელია გერმანიის არამც თუ 1916 წლის მოსაზრებანი გადასახადთა გადიდების შესახებ, მიუღებელია ჩვენთვის აგრეთვე 1911—1913 წ.წ. გერმანიის გადასახადების რაოდენობა, ე. ი. 70 მანეთი სულზე, რადგანაც, როგორც ზევით არის ნათქვამი, 70 მან. აღემატება მთელს წლიურ საშუალო შემოსავალს სულზე ჩვენში, რომელიც ძლივს აღწევს 50—60 მანეთს. მხოლოდ ჩვენი ფულის დაცემული კურსის მიხედვით შეიძლებოდა შემოგვეღო 1911—1913 წლების გერმანიის გადასახადის ნორმები ან თუნდ 1916 წლის სავარაუდო მოსაზრებანი (105 მან. სულზე). მაგრამ გადასახადების ასეთი გადიდება (7—12-ჯერ) ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც 2 ნახ. მილ. მცხოვრებია, ხაზინას მისცემდა პირველ შემთხვევაში 175 მილ. მანეთამდე (70×2. 500.000), მეორე შემთხვევაში კი 260 მილიონ. (105×2. 500 000), ე. ი. შემოვიღოდა იმოდენა ფული, რომელიც 7—12 ჯერ აღემატებოდა 1917 წლის ჩვენს ქვეყანაში შემოსულ გადასახადებს (26 მილ. მან.) ამნაირად მაშინაც კი, თუ ჩვენ გავაწერთ გადასახადებს გერმანიის ნორმების მიხედვით 1911—1913 წ.წ., ან 1916 წ. ნორმებით, ე. ი. 350—500 მანეთამდე თითო ოჯახს (ოჯახში ხუთი სულის ანგარიშით), ჩვენ მივიღებთ არა უმეტეს 270 მილ. მანეთს მაშინ, როდესაც ჩვენი ჩვეულებრივი ხარჯები აღემატება 7,000,000 და არაჩვეულებრივი ხარჯებითან ერთად დაუახლოვდება 900 მილ ნ და ერთ მილიარდსაც.

ჩვენ არ გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ ახლო მომავალში შევძლებთ საკუთარის ძალით შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ, ვაჭრობა-მრეწველობა განვავითაროთ და ხალხის მდგომარეობა ავიყვანოთ იმ წერტილამდე, რომლისაც პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, ხალხის მეურნეობისათვის ასატანი, დეფიციტით დაფარავს ჩვენს სახელმწიფო ხარჯებს, რომელნიც არსებულ ფინანსიურ და ეკონომიურ პირობებში აუცილებლათ გაიზრდებიან.

ამიტომ ჩვენ ან ძველებურად უნდა ვბეჭდოთ ბონები, რომელთა მძიმე შედეგები ცხადია, ან და გავანაღდოთ ჩვენი ბუნების სიმდიდრენი, ე. ი. შევუდგეთ კაპიტალის ხარჯვას. ამნაირი ნაბიჯი ჩვენს მდგომარეობაში აუცილებელია, კითხვა მხოლოდ იმაშია, რომ ამ კაპიტალის ხარჯვა არ გადაიქცეს მის გაფლანგვა-მტაცებლობათ.

ამისათვის საჭიროა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი გადავაქციოთ ექსპლოატაციის საგნათ, გადავცეთ ისინი აქციების სახით უცხო კაპიტალის წარმომადგენელთ და გამოვართვათ მათ აქციების ღირებულება საგარეო ვალიუტით. (რამდენი აქცია გადავცემათ უცხოელებს—ეს დამოკიდებულია გარემოებაზე). სახელმწიფო ამ აქციების განაღდებით თავიდანვე მიიღებს დიდძალ ფულს, რომელიც შეამსუბუქებს ჩვენს მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას და, შესაძლებელია, ამით საშუალება მოგვეცეს შევქმნათ საკუთარი ვალიუტაც.

ამ მიზნით ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ უცხოელებთან ხელშეკრულებათა დადებას, რაც საშუალებას მოგვცემს დავაარსოთ წარმოებანი ჩვენ უმთავრეს ბუნებრივ სიმდიდრეთა საექსპლოატაციოთ.

ჩვენი აზრით, უცხოელთათვის ყველაზე უფრო მიმზიდველი დარგი ჩვენი მეურნეობისა იქნება ტყვარჩელის ქვანახშირი, ტყეები და მინერალური წყლები. ამ სიმდიდრის რაოდენობაზე დაახლოვებითი წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი ტყეების სივრცე, რომელიც უდრის 2 მილიონ დესეტინას და ტყვარჩელის პლასტების სისქე, რომელსაც შეუძლიან მოგვცეს 13—15 მილიარდი ფუთი ქვანახშირი.

ტყის მასალის გაზიდვა შეიძლება ზღვით იმ ქვეყნებში, სადაც ის წინადაც ბლომათ გაჰქონდათ. ტყის წარმოების სხვადასხვა დარგის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში შეუძლია ფართო ხასიათი მიიღოს.

ცენტრალური სამედიცინო-სანიტარული გამგეობის განყოფილებათა კომისიებმა ჩაიბარეს დღემდე 80-ზე მინერალურ-წყლიანი ადგილები. დანარჩენი წყლები მიღებულ იქნებიან მიმდინარე 1919 წ. მიღებულთა შორის ზოგი უკვე კურორტად გადაქცეულია, მაგრამ მათ ჯერ შესამჩნევი შემოსავალი არ შემოაქვთ, რადგან მათი ექსპლოატაცია ჯეროვან დონეზე არ არის დაყენებული. სხვა მთავრობის განკარგულებაში მიღებულ ან მისაღებ წყლებში, ბევრია ისეთი, რომელნიც თავისი სამკურნალო თვისებებით შეიძლება გადაიქცნენ შესანიშნავ კურორტებად, თუ ამისთვის საჭირო თანხა იქნება გაღებული. მეურნეობის ეს დარგი, საქმის წესიერი და ფართო დაყენებით, გადააქცევს საქართველოს საუცხოო კურორტების კუთხედ მთელს დედამიწის ზურგზე და მოუტანს დიდს სარგებლობას ხაზინას და ხალხს.

გარდა ტყისა, ქვანახშირისა და მინერალურ წყლებისა საჭიროა ყურადღება მიექცეს ჩვენში თეთრი ნახშირის დიდ რაოდენობას, მარილის დამუშავებას, სოდის გაკეთებას*), საჭიროა აგრეთვე თამბაქოს და ღვინის წარმოებას და თევზის მრეწველობას ფართო სამრეწველო ხასიათი მიეცეს და სხვ.

უცხო კაპიტალისთვის ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის შესამჩნევი ნაწილის ან თუნდ მისი ნახევარი გადაცემის დროს უნდა ვეცადოთ, რომ სახელმწიფოს და სახალხო მეურნეობის ინტერესები ჯეროვანათ იქნენ დაცულნი**).

ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გაცემული ნაწილის მაგიერათ სახელმწიფო მიიღებს შემდეგ სარგებლობას:

ა) მთავრობა, როგორც ნათქვამია ზევით, უცხო კაპიტალის დატრიალებით აქციონერულ საზოგადოებებში, რომელთა ობიექტათ იქნება ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე, მიიღებს ნაღდად თავიდანვე საგარეო ვალიუტით დიდ ძალ ფულს, რაც ჩვენთვის დღეს მეტად საჭიროა საფინანსო და სავაჭრო-სამრეწველო კრიზისის შესამსუბუქებლად;

ბ) სხვადასხვა წარმოებათა აქციებზე, რომელიც მთავრობის ხელში იქნება, უკანასკნელი მიიღებს დივიდენდებს. ამნაირივე შემოსავალი ექნებათ რესპუბლიკის მცხოვრებლებს—აქციების მქონეთ.

გ) ახლად დაარსებულ წარმოებებში იშოვნიან სამუშაოს ჩვენი რესპუბლიკის მუშები. მრეწველობის ახალი დარგებისათვის საჭირო იქნება დიდი ძალი მუშა ხელი: მარტო დამუშავება ჩვენი ქვეყნის ნედლი თამბაქოსი, მოითხოვს 10,000-მდე მუშას, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენში 8 თამბაქოს ქარხანაში არის 850 მუშა; სპეციალისტების გამოანგარიშებით კი, ჩვენში მოყვანილ ნედლ თამბაქოს შეუძლია ამუშაოს 100 ასეთი ქარხანა. ეჭვი არ არის, რომ ნახშირის და ტყის მრეწველობა, სხვა რომ არ მოვიხსენიოთ, მოითხოვს თვითეული, ბევრად უფრო მეტს მუშა ხელს, ვიდრე თამბაქოს მრეწველობა.

დ) დიდი წარმოების ორგანიზაცია გამოაცოცხლებს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას და გამოიწვევს ხალხის ნივთიერ კეთილდღეობას და ამასთანავე

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რომელიც მეტად საგულისხმო საკითხს ეხება. ჩვენ მით გვინდა გამოვიწვიოთ ამ საგანზე აზრთა გაცვლა გამოცვლა და ამიტომ იმედოვნებით დავუთმობთ ასეთს წერილებს გაზეთის ფურცლებს, რედაქცია თავის აზრს შემდეგ გამოსთქვამს.

რედ.

*) გლაუბერის მარილიდან, რომელიც ბევრი მოიპოვება გარეჯის მდამო ტბაში (85 დეს.) და პატარა გარეჯის ტბაში, ტფ. მაზრ., სოფ. მალხაზოვკის ახლოს.

**) ჩვენი რესპუბლიკის და მისი მცხოვრებთა ეკონომიურ ინტერესების დაცვის შესახებ ჩვენ დავბეჭდეთ წერილები: „სავაჭრო ხელშეკრულებათა საკითხის გამო" და „კიდევ სავაჭრო ხელშეკრულებათა შესახებ" („საქართველოს ეკონომისტი"—№№ 3, 4).

ნიანობით დააზარალეს კავშირის კასა, გაფიცეს და ქუჩაში გამოყარეს „თბილისის ლისტოკის" 60 მდე მუშა და გამომცემლებისგან მოითხოვეს სალიკვიდაციო ფულები, მაშინ, როდესაც ამ ფულებს მუშებს არ არგუნებს არც იურიდიული, არც ზნეობრივი, და არც ხაზეინებთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი არ ახდენს წარმოების სრულ ლიკვიდაციას.

და საერთო კრებამ მიიღო რა მხედველობაში მათი მავნე პოლიტიკა, მათ ადგილი დააცლევინა.

დეე იცოდეს ბერგმან-ივანოვებმა და მათმა ამყოლმა ქართველ კლაკიორებმა, რომ ის ხალხი, რომელმაც მოაწყო აჯანყება დუშეთსა და ლეჩხუმის მაზრებში, საჩხერესა და ცხინვალში, რომელმაც შეიწირა ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, რომ ხალხი, რომელიც არ სცნობს ჩვენ დამფუძნებელ კრებას, (რაც აღიარეს 16 მარტის საზოგადო კრებაზედ) რომელიც გამომხატველია საქართველოს ტერიტორიაზედ მცხოვრებ ყველა ჩაგრულთა ინტერესებისა, დიახ, ასეთ ხალხს ჩვენს პროფესიონალურ კავშირის ხელმძღვანელ ორგანოში ადგილი არ ექნება.

უკანასკნელმა საზოგადო კრებამ აირჩია ახალი გამგეობა, რომლის შემადგენლობა არა ნაციონალისტური, არამედ შერეული, ქართველები, რუსები და სომხები. მათ მუშაობის უნარიც შესწევთ, ცოდნაც და გამოცდილებაც და ბერგმან ბერბეროვების პროპაგანდა აგიტაცია სტამბებში ოპოზიციის შესაქმნელად მიზანს ვერ მიაღწევს.

ალიხტრო ვადაჭკორია.

ქალაქის საბჭო

31 მარტს შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც ივ. გომართელმა გააკეთა მოხსენება სავადმყოფოს სარევიზიო კომისიის სახელით.

მომხსენებელმა გააცნო საბჭოს ქალაქის სავადმყოფოების მდგომარეობა, აღნიშნა ის ნაკლი, რომელიც სუფევს სავადმყოფოებში, რის მიზეზაც არის ქალაქის უსახსრობა. ქალაქის გამგეობა შეძლების დაგვარად, ამ აუტანელ პირობების დროს ყოველ დღე აძლევს სავადმყოფოს 100,000 მან. ხმოსან რ. არსენიძის წინადადებით საბჭომ დაადგინა უკამათოდ იქნეს მიღებული კომისიის მოხსენებაში აღნიშნული დასკვნები. აგრეთვე წინადადება მიეცეს გამგეობას მოხსენებაში აღნიშნული სავადმყოფოების ნაკლი გამოასწოროს და მიიღოს ზომები, მდგომარეობა გააუმჯობესოს.

გაფიცვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავის ამხანაგი კონიაშვილი. მან გააცნო საბჭოს, თუ როგორი მიმდინარეობს გაფიცვა, რა აზრის არის გაფიცვის შესახებ მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელმაც დაგმო გაფიცვა და მოიწონა ქალაქის საბჭოს დადგენილება. საბჭოს ძველი დადგენილება ძალაში რჩება და ქალაქის მოსამსახურეებს შეუძლიათ 8 აპრილამდე შემოიტანონ თხოვნები და ითხოვონ სამსახურში მიღება.

ივ. გომართელი თავის სიტყვაში ამტკიცებს, რომ დღევანდელი გაფიცვა არის წმინდა კონტრრევოლუციონური ნაბიჯი და როგორც ასეთი, დასაგმობია და მოითხოვს, რომ საბჭოს 26 მარტის დადგენილება ძალაში დარჩეს. თ. ღლონტი მოითხოვს, რომ გაფიცულები უკანვე იქნენ მიღებული სამსახურში. პარ. გოთუა მოითხოვს, რომ საბჭომ ძველი დადგენილება ძალაში დასტოვოს. ალ. წერეთელი მხარს უჭერს ღლონტის წინადადებას.

რ. არსენიძე უპასუხებს ორატორებს და აღნიშნავს, რომ როდესაც დემოკრატიას ვინმე გამოეთიშება, დემოკრატია მოვალეა შეებრძოლოს ასეთ გამოთიშვილებსო. საბჭოს დადგენილება მუშათა წარმომადგენლებმა დაადასტურეს. და თუ ჩვენ მუშათა საბჭოს დადგენილების წინააღმდეგ მოვიქცევით, ჩვენ ამით მას ბრძოლას გამოვუცხადებთ. მე მგონია ძველი დადგენილება ძალაში უნდა დარჩეს. მხოლოდ ისეთი პირები, რომელთაც საპასუხისმგებლო საქმე ეპირათ და სამსახურს თავი დაანებეს, არ უნდა იქნან მიღებულნი.

საბჭომ დაადგინა: „საბჭო ადასტურებს თავის წინანდელ დადგენილებას, იწონებს გამგეობის მიერ გაფიცულთა წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა რამოდენიმე წვრილმანი საკითხები.

დ. ზ.

სახელ. დაწესებულებათა დაბალი მოსამსახურენი

მთავრობის დადგენილებით შრომის სამინისტროს დავალებული ჰქონდა დაბალ მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომების გამომუშავება. სამინისტრომ მიიღო მხედველობაში მოსამსახურეთა უმწეო მატერიალური მდგომარეობა, გაითვალისწინა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მოსამსახურეთა ნივთიერად უზრუნველყოფა შესაძლებელია მაშინ, როცა მოხდება რეორგანიზაცია სახელმწიფო დაწესებულებების, რეორგანიზაცია კი გვიანდება, დაადგინა: ეხლავე მიეცეს მოსამსახურეებს ავანსის სახით მომავალ მომატების ანგარიშში. აპრ. 1 რიცხვებში მთავრობა დაეთანხმა შრომის სამინისტროს დადგენილებას და დაადგინა მიეცეს მოსამსახურეთ აპრილის პირველ რიცხვებში. ამასთან ერთად მთავრობამ მიანდო შრომის მინისტრს გამორკვევა იმ მოსამსახურეთა ყველა მდგომარეობის, რომლებსაც არ მიუღიათ იანვრიდან მომატება. მასვე დაევალა მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წყაროების გამონახვა. მთავრობის ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება მიენდო ფინანსთა მინისტრს.

ახლო წარსულიდან

(ცხინვალში დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას)

დღეს, 1 აპრილს ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დ. ცხინვალში შეიარაღებულ ბრბოსთან შეტაკების დროს დაიღუპნენ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები: გიორგი მაჩაბელი, სანდრო ქეცხოველი, კოსტა ყაზიევი და სხვ. მათი ხსოვნა მჭიდროთ არის დაკავშირებული იმ ხანასთან, როცა ჩვენს განახლებულ ცხოვრებას ყოველმხრივ მტერი აწვებოდა და ლამობდა თავისუფლების დასამარებას, ჩვენი ქვეყნის დაღუპვის კარამდე მიყვანას.

„გაბოლშევიკებული" ბრბოები, ძველი წესწყობილების მესვეურნი, ყველა ბნელი ძალები დაძრწოდნენ სოფელ-სოფელ, რათა წყალი აემღვრიათ, შინაური ომი გაეჩაღებინათ და მით განეხორციელებიათ თავიანთი ბოროტი ზრახვანი.

გორის მაზრა, ეს ყოველთვის კონტრრევოლიუციონერთა ბუდე, რა თქმა უნდა, არ აცდა კონტრ რევოლიუციონერ-ხულიგანურ გამოსვლებს, რომელმაც განსაკუთრებულის ძლიერებით ცხინვალ ჯავის რაიონებში იჩინა თავი.

გიორგი მაჩაბელი, მაშინდელი მაზრის კომისარი, მილიციონერთა რაზმით და გვარდიელებით მიემგზავრება ცხინვალში საქმის მოსაგვარებლათ. იგი დარწმუნებულია მშვიდობიანი გზით დაამთავრებს საქმეს. ამიტომ ცხინვალში იგი მიტინგს იწვევს, ხალხს სიმართლეს აცნობს, მშვიდობიანობისაკენ მოუწოდებს. მას გვერდს უმშვენებს ქადარა სანდრო ქეცხოველი, ეს სახალხო ტრიბუნი, რომლის სიტყვები სათნოებით იყო აღსავსე. მის მჭერმეტყველებას მხეცებზედაც კი უნდა მოეხდინა გავლენა. აქვე იყვნენ კოსტა ყაზიევი და სხ. მარა ამაოთ. მათი ხმა რჩება ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ბრბო შეუბრალებელი დარჩა, იგი მხეცზე უმხეცესი აღმოჩნდა და სიმართლე-ჭეშმარიტების მქადაგებელთ ტყვიით მოუნდომეს გასწორება. მიტინგი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. ყოველი მხრიდან ატყდა სროლა. მარა ამხანაგები კიდევ არ კარგავენ იმედს. მოხუცი ქეცხოველი კვლავ აღგზნებული სიტყვებით მიმართავს ხალხს. მარა არაფერი გამოდის. ბრბო უახლოვდება ქალაქს. საცაა იგი შემოიჭრება კიდეც. მაჩაბელი ტყვიისმფრქვეველთანაა. საშინელი ბრძოლა გაჩაღდა და აი ამ დროს ირკვევა, რომ ჩვენს რაზმს ტყვია შემოაკლებია. ტყვიისმფრქვეველიც აღარ მუშაობს. გიორგი დაჭრილია. შველა არსაიდანაა. საქმე წასულია. ბრბო შემოიჭრა ცხინვალში და ჯოჯოხეთიც გამეფდა. სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, ქოხებიდან, სარდაფებიდან იტაცებენ ყველაფერს. დაეძებენ მოთაურებს. და აი სავადმყოფოში იპოვეს კიდეც დაჭრილი გიორგი. გაამფთარებულნი მისცვივდნენ მას და დაჭრილზე, დაუძლურებულზე შური იძიეს, გვამი საშინლათ დაასახიჩრეს... მოხუც სანდრო ქეცხოველს ჯერ გული გაუგმირეს და შემდეგ ყელი გამოსჭრეს. მათთან ერთად მოკლეს კოსტა ყაზიევიც, გვარდიელები ვანო მაღლიევი, ისაკი კობერიძე და გიორგი თაყნიაშვილი. ვინ იცის კიდევ რამდენს გამოასალმებდნენ წუთისოფელს, რომ მაშველი ჯარი არ მოსულიყო და ბრბო არ გაედევნა ცხინვალიდან.

ასეთია მოკლეთ ის ამბავი, რომელიც შავი ასოებით აღიბეჭდა ჩვენი ისტორიის ფურცლებზე ამ ერთი წლის წინათ.

გულკეთილნი იგონებენ გმირულ ამხანაგები ამ ისტორიულ ამბავს და მის გმირებს დღეს წლის თავზე და იქ, სამძმო საფლავზე, შეიკრიბებიან ისინი და მათ საფლავში ჩასძახებენ: „ჩვენ გავიმარჯვეთ"...

გ. ქარცივაძე.

DE MORTUIS.

ჩვენ ისევ ისე მტკიცედ ვდგევართ არჩეულ გზაზე...
განვაგრძობთ ბრძოლას: უმისოდ ვეღარ ვიცოცხლებთ.
სასტიკი აზრი გულს გვისერავს ნანატრ საგანზე,
რომ ჩვენთან ერთად, როგორც წინეთ, ვეღარ იბრძოლებთ...

გაზაფხულს ფეხნი ცელქობის დროს დაუსხლტათ ღმერთებს:
გმინვა გაისმა და გრიალი ძველი კერპების...
ჩაინგრა ხიდი... აწ ორ მხარეს ვერ შეაერთებს.
ნაფოტებს ეხლავთ დანგრეულის ძველის გემების...
ცხოვრების ზღვაზე დასცურავენ გზა არეულნი...
იქ გროვდებიან, ნაპირებზე... და რა იციან,
რომ მწარე ნაშთნი საუკუნეთ ჩაგვრა-მონობის
ძლიერის ცეცხლით, ქარის ქროლით გადაიწვიან...
გამხმარი ჯვრები გაზაფხულზე ვერ აყვავდება...
მაგრამ იმათ ქვეშ იმედება როდიდა შქნება!

იახამანი.

გადასახადების გარშემო

გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა ქ. თბილისი ამ ჟამად დაყოფილია თოთხმეტ გადასახადთა უბნებათ ქვემოთ ნაჩვენებ საზღვრებში:

1-ლი და მე-2 გადასახადთა უბნები შემდგარი არიან 1-ლი სამილ. უბნიდან, ხოლო პირველ მათგანს უერთდება ფაქტ. მე-2 ს კი მთელი საბურთალოს კომისარიატი. ორივე ეს უბნები ისაზღვრება მე 3 გადასახადთა უბანთან ხაზით, რომელიც მიდის მდინარე მტკვრიდან ვერის დაღმართზე და მოსკოვის ქუჩაზე მამა დავითის მთამდე, საზღვრები კი ამ ორ უბანს შუა გადიან იდლის ქუჩაზე წყნეთის ქუჩის დასაწყისამდე: შემდეგ წყნეთის ქუჩაზე გურამის ხევამდე, ამ ხევზე მდინარე ვერამდე და შიგით ამ მდინარეზე ვიდრე მაზრის საზღვრამდე. 1-ლი უბნის გადასახადთა ინსპექტორის კანცელარია იმყოფება გუნიის ქუჩაზე სახლი № 43, მე-2 უბნის კი საყდრისუბნის ქუჩაზე სახლი № 7.

მე-3 გადასახადთა უბანი შეიცავს მთელ რაიონს მე-2 სამილიციო უბნისას; კანცელარია იმყოფება გუნიის ქუჩაზე სახლი № 43.

მე-4 გადასახადთა უბანი შეიცავს რა ნაწილს მე-3 სამილიციო უბნისას, ისაზღვრება მე 3 გადასახადთა უბანთან ხაზით, რომელიც გადის დავითის ქუჩაზე, გოლოვინის პროსპექტზე და ბარონის ქუჩაზე, ვიდრე დიდი ვანქის ქუჩამდე, მე 5 გადასახადთა უბანთან ისაზღვრება შტაბის ქუჩით, ერევნის მოედნით (სახლები № № 1—5) შემდეგ სოლოლაკის, რტიშჩევის (№ № 2—6) ახალ-ბებუთოვის და ერმოლოვის ქუჩებით: კანცელარია გადასახადთა უბნისა იმყოფება ოლღის ქ. (№ 31) და ვერის ეკლესიის ქუჩების კუთხეში სახლ. ყოფილ სარაჯევისა.

მე-5 გადასახადთა უბანი შეიცავს დანარჩენ ნაწილს მე 3 მილიციის უბნისას; მე 4 გადასახადთა უბანთან ისაზღვრება ზემონაჩვენებ ქუჩებით და მე-6 გადასახადთა უბანთან კი საზღვრებით მე 3 მილიციის უბნისა; კანცელარია იმყოფება რუსთაველის (ყოფილ გოლოვინის პრ.) ქუჩაზე სახ. № 12.

მე 6 გადასახადთა უბანი შეიცავს მთელ რაიონს მეოთხე მილიციის უბნისას, მე 7 გადასახადთა უბანი მე 5 მილიციის უბნისას, მე 8—მე-6 მილიციის უბნისას, მე 9 მე 7 მილიციის უბნისას და მე-10 მე 8 მილიციის უბნისას; კანცელარია მე 6 გადასახადთა უბნისა იმყოფება ლერმონტოვის ქუჩაზე სახ. № 3, მე-7 სასტუმრო „სევერნიე ნომერა"-ში.

მე-8 უბნის გრაფის ქუჩის და სამების შესახვევის კუთხეში და მე-9 და მე-10 უბნებ. გრაფის ქუჩაზე ქართული ბანკის სახლში № 2.

მე-12 გადასახადთა უბანი გამოყოფილია მე-9 და მე-10 სამილიციო უბნებიდან და იმყოფება საზღვრებში: მდინარე მტკვარი, გომბოვის ქუჩა და მარჯვენა მხარეები დაყოლებულ ქუჩებისა და შესახვევებისა: სამოსწავლო შესახვევისა, დიდი მთავრისა და კრილოვის ქუჩ., მიხეილის პროსპექტისა, ტატიანის და ელისაბედის ქუჩ. ტატიანის შესახვ., ნიკოლაისა, მილიუტინის; ხერხეულიძის, რეუტის და გერმანულ ქუჩებისა, მიხეილის პროსპექტისა, კოლოვნის, დიდი-მთავრის და კირკის ქუჩებისა ვიდრე მდინარე მტკვრამდე; კანცელარია იმყოფება გრაფის ქუჩის და სამების შესახვევის კუთხეში, სახლი № 12—10.

მე-11 გადასახადთა უბანი შეიცავს მთელ რაიონს მე-9 სამილიციო უბნისას, გარდა მისი ნაწილისა, რომელიც შედის მე-12 გადასახადთა უბნის ფარგლებში, მე-13 გადასახადთა უბანი შეიცავს რაიონს მე-10 სამილიციო უბნისას, გარდა მისი ერთი ნაწილისა, რომელიც ეკუთვნის მე-12 გადასახადთა უბანს, კანცელარია მე-11 უბნისა იმყოფება დიდი-მთავრის ქუჩაზე სახლი № 57, მე-13 უბნისა კი ანდრონიკოვის ქუჩაზე სახლი № 29.

მე-14 გადასახადთა უბანი შემდგარია მე-11 და მე-12 სამილიციო უბნებიდან; კანცელარია იმყოფება გლდანის შესახვევი სახლი № 19.

ს.-დემ. პარტიაში

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები.

27 მარტს, ფოსტა-ტელეგრაფის სოციალ-დემოკრატიულ ბიუროს მოწვევით გაიმართა ფოსტათა-ტელეგრაფში მოსამსახურე სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფის და მათ თანამგრძნობთა კრება. მომხსენებლად მოწვეულნი იყვნენ დამფუძნებელი კრების წევრნი ივანე გომართელი და რაჟდენ ჩიხლაძე. მოხსენების საგანი იყო საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა.

ორატორები მეტისმეტ ტაშის ცემით დაჯილდოვეს. მომხსენებლების სიტყვების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ფოსტის მოხელეებიდან ალ. ბებურიშვილმა, რომელიც კრების სახელით მიესალმა დამფუძნებელ კრების სტუმრებს, აღწერა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა უმწეო მატერიალური მდგომარეობა და სიტყვა დაასრულა შემდეგის განცხადებით: „მიუხედავათ ჩემ მიერ აღწერილ მოსამსახურეთა უმწეო ეკონომიური მდგომარეობისა, ჩვენ, მოსამსახურენი არასოდეს არ ვუღალატებთ დემოკრატიას და რაც უნდა დიდი გაჭირვება დაგვადგეს, მას არ გავეყრებით. მაგრამ ვთხოვთ და ვიმედებთ ჩვენთვის ძვირფას უმაღლეს დაწესებულების, დამფუძნებელ კრების წევრთ, რაც შეიძლება დაჩქარონ ჩვენი გაჭირვებული მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომ შიმშილმა იძულებით არ დაამარცხოს მოსამსახურენი, რომ თვით მათთვის გამოუსადეგარი არ შეიქმნეთო". კრების გათავების შემდეგ მიღებულ იქმა შემდეგი რეზოლიუცია: „ოფ. ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში მოსამსახურე სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო ოთხასზე მეტი კაცი, მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრების ივ. გომართელისა და რ. ჩიხლაძისა დღევანდელ პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობაზე, მოუწოდებს მთელ მშრომელ დემოკრატიას და კერძოთ ფ.-ტ. მოსამსახურეებს გააძლიერონ ბრძოლა და შეუპოვარი [illegible] განაგრძონ რევოლიუციონური მონაპოვარის დაცვისათვის ბრძოლა, შემოკრებიან მჭიდროთ დამფუძნებელ კრების გარშემო, რათა უკანასკნელმა შესძლოს თავის მძიმე მოვალეობის შესრულება და გაიყვანოს ჩვენი ქვეყანა და მისი დემოკრატია საშიშროებისაგან, დააჩქაროს დემოკრატიულ წყობილება და მით შექმნას ნიადაგი შრომის ხალხთა დასაწყნარებლად, რისთვისაც დღეს ასე თავგამოდებით იბრძვის ევროპის პროლეტარიატი".

ალფრედ.

ერთად გადასახადების აკრეფას გაადიდებს. მრეწველობის აღორძინებასთან ერთად წარმოიშობა პირობები საგარეო და შინაური ვაჭრობის განვითარებისათვის, რაც ხაზინას დიდ თანხას მისცემს.

ე) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით გაუმჯობესდება ჩვენი სავაჭრო ბალანსი, სახელმწიფო მოიპოვებს ჯეროვან ნდობას და ჩაეყრება სამედო საფუძველი ქვეყნის საფინანსო და საეკონომიო კეთილდღეობას.

ამნაირად, იმ მიზნის გამო, რომლითაც სახელმწიფო მიიღებს დიდძალ ფულს საგარეო ვალიუტით, ჩვენ შეგვეძლება კურსის დაუცემლად შევიძინოთ ქვეყნისთვის საჭირო საქონელი, გამოვაცოცხლოთ შინაური ვაჭრობა, შევასუსტოთ საშინელი სიძვირე, გავაადვილოთ გადასვლა ბონების სისტემიდან ნორმალურ ფულის ტრიალზედ და, ამავე დროს, ჩამოთვლილი ცვლილებათა წყალობით, შევამოკლოთ სახელმწიფო ხარჯები.

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ ზომების შედეგებს არ ექნებათ დროებითი ხასიათი: ეს იქნება წინამორბედი ჯანსაღი და ნორმალური ეკონომიური ცხოვრებისა. უცხოელებისაგან ჩვენი ბუნების სიმდიდრის ფასად ფულის აღებით და სამრეწველო დარგების მოსაგვარებლად, მათი მოწვევით ჩვენ იმედი გვეძლევა, რომ ჩვენი მეურნეობა ჯეროვანად იქნება მოწყობილი, რაც სამრეწველო ცხოვრებას ჩვენს ტერიტორიაზედ შესამჩნევად გაავითარებს. ჩვენი უქმად მდებარე სიმდიდრის ნაწილის გადაცემით ჩვენ ვღებულობთ არა მარტო გადაცემული ნაწილის ღირებულებას, არამედ უცხოელებთან იმნაირ ურთიერთობას საფუძველ ვდებთ, რომ უცხოელებმა შემდეგშიაც დაგვაწოდონ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის საჭირო საშუალებანი, რაც ხალხის კეთილდღეობას გაუმჯობესებს, ქვეყნის კრედიტს გაამაგრებს და, როგორც ყოველივე ამისი შედეგი, ხაზინის შემოსავალს გაადიდებს.

აქ დასახულ ეკონომიურ პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც ორგანიულად დაკავშირებულია ჩვენი ფინანსიურ პრობლემასთან და პოლიტიკურ მიზნებთან, აუცილებლად ვთვლით დაარსდეს მთავრობასთან საფინანსო-საეკონომიო საბჭო; მას უნდა დაევალოს: 1) შესწავლა ჩვენი ბუნებრივ სიმდიდრეთა, რომელთა დასამუშავებლად მოწვეულ უნდა იქნეს უცხო კაპიტალი და 2) ოპციონების ძირითადი პრინციპების აღნუსხვა იმ პირთათვის, რომელთაც დაევალებათ მოლაპარაკება უცხო კაპიტალისტებთან აღნიშნულ საფინანსო და ეკონომიო მიზანთა მისაღწევად. რომ ამ საბჭომ შესძლოს თავის დანიშნულების შესრულება, მას საშუალება უნდა მიეცეს, სათანადო უწყებათა და მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, საფუძვლიანად გაეცნოს ჩვენი მეურნეობის მთავარ დარგებს, შეიმუშაოს სათანადო გეგმა და მოსაზრება, რომელიც სარჩულად უნდა დაედვას უცხოელებთან მოლაპარაკებას და ოპციონებს.

მეტად მძიმე, თითქმის კატასტროფიული, ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა ჩვენი რესპუბლიკისა გვავალებს ეს საკითხი ერთი მაშტაბით დაისვას და დაუყოვნებლივ ენერგიული და მიზანშეწონილი ზომები იქნეს მიღებული მისი სისწორით გადასაწყვეტად.

აქ მოყვანილმა მოსაზრებამ ნაწილობრივათ ჰპოვა გამოძახილი და თანაგრძნობა ჩვენს საფინანსო და სამრეწველო წრეებში; და მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები მე იმედს მაძლევენ, რომ ეს საფინანსო და საეკონომიო გეგმა მიიპყრობს ყურადღებას ჩვენი მთავრობისა. საჭიროა მიღებულ იქნეს ზოგიერთი სხვა ზომებიც, რომელთა ცხოვრებაში გატარებას მთავრობამ ყოველნაირი დახმარება უნდა გაუწიოს.

II

როგორც წინა თავში ნათქვამი, უცხო კაპიტალი შეუდგება უმთავრესად ქვა-ნახშირის, ტყეების, მინერალური წყლების და თეთრი ნახშირის დამუშავებას. ჩვენთვის კი საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ ზოგიერთ სხვა მრეწველობის დარგების მოწყობას. ასეთებია საქსოვი მრეწველობა, ტყავეულობის წარმოება და შეშის და პურის მიწოდება მცხოვრებლებისათვის.

ჩვენ შეგვეძლო სხვა დარგებიც მოგვეხსენებინა, მაგრამ ჯერ საკმარისია ისიც, რაც ჩამოვთვალეთ.

ა) ქ. ხონი თავისი მიდამოებით დიდი ხანია ოჯახური (КУСТАРНЫМЪ) საშუალებით აწარმოებს შალეულობის და აბრეშუმის ქსოვას. ამ კუთხეში ბევრია გამოცდილი მცოდნე ფეიქარი ხუზა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობისათვის; აქ მოიპოვება აგრეთვე ნედლი მასალა; მატყლი და აბრეშუმის პარკი; ამ მასალის დანაკლისი შეიძლება მიაწოდოს ხანს ჩვენი ქვეყნის სხვა მაზრებმა. საჭიროა დაუყოვნებლივ დაარსდეს საზოგადოებანი, მთავრობის მონაწილეობით ან უმისოდ, რომ ხსენებული საქონელი საქარხნო წესით იქნეს დამუშავებული.

ბ) ჩვენ დიდად გვესაჭიროება ფეხსაცმელი და ტყავეულობა. ამისთვის საჭიროა გავადიდოთ ტყავეულობის რაოდენობა. დღეს ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე კერძო ქარხანა ტყავეულობისა და ერთიც ქალაქთა კავშირისა. ტყავეულობის ქარხნების გაფართოვებისათვის საჭიროა მთავრობის დახმარება.

გ) ჩვენი ქალაქებში შეშის მოთხოვნილება მეტად დიდია—ქალაქებს სჭირია 100 ან 150 ათასამდე საჟენი შეშა. ჩვენ გვაქვს ტყეები, რომელნიც მდებარეობენ რკინის გზის სადგურებთან ახლოს. მიწად მოქმედების სამინისტრო ფაქტ შეუდგა შეშის დამზადებას, მაგრამ საჭიროა, რომ სამინისტრომ დროზე გადაიტანოს ეს შეშა იქ, სადაც მას მოითხოვენ.

დ) ქსოვილი, ტყავი და საზამთრო მასალა პირველ საჭიროების საგნებს წარმოადგენენ. მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ ამათზე უფრო საჭირო საგანს მცხოვრებთათვის შეადგენს პური. მთავრობას შეუძლია საგრძნობლად შეამსუბუქოს მცხოვრებლების გაჭირვება ამ მხრივ; მან უნდა მოიხმაროს ეს თავისი ვალი. ჩვენ საკმარისად მოგვეპოვება სახნავ-სათესი მიწები, საჭიროა შევიძინოთ სამეურნეო მანქანები, უპირველესად ტრაქტორები. ჩვენს რესპუბლიკაში არის რამოდენიმე ტრაქტორი, ვგონებ ექვსი. ისინი დაუყოვნებლივ უნდა მოვიხმაროთ და მივიღოთ აგრეთვე ზომები ახალი ტრაქტორების შესაძენად საზღვარ გარეთიდან. თუ ჩვენ გვექნება პური, შეშა, ფართალი და ტყავეულობა, ჩვენ შევძლებთ ცოტად თუ ბევრად უზრუნველ ვყოთ ჩვენი ქვეყანა პირველ საჭიროების საგნებით, რითაც საშუალება მოგვეცემა რესპუბლიკას შევუმსუბუქოთ დღევანდელი აუტანელი მდგომარეობა და შევასუსტოთ მისი დამოკიდებულება საზღვარ გარეთულ ვალიუტისაგან. თუ ჩვენ ამ საგნებს თვითონ დავამუშავებთ, ამით ჩვენ შევასუსტებთ სიძვირეს, გავაიაფებთ სახელმწიფო აპარატის შენახვას და გავაადვილებთ ფულის ნორმალური ტრიალის შემოღებას.

მრეწველობის სხვა და სხვა დარგების მოგვარებასთან ერთად მიღებულ უნდა იქნეს ზომები შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად. ამისათვის ჩვენ უნდა ვეცადოთ მივაწოდოთ მცხოვრებლებს იარაღები და ინსტრუმენტები და შევქმნათ სათანადო სტიმულები თვით მუშებისათვის, რომ მათი შრომა გახდეს უფრო ნაყოფიერი.

მაგრამ ეს ზომები, რომელიც გააფართოვებს სახელმწიფო ხაზინის წარმოებას, საკმარისი მაინც არ იქნება. საფინანსო კრიზისის შესამსუბუქებლად ახლავე შემოღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული გადასახადი, მაგალითად ერთდროული, ქონებისა და შემოსავლის კვალობაზე დაწესებული, პროგრესიული ნორმებით. შეიძლება დაწესებული კიდევ ერთი წყარო, რომელსაც შეუძლია მისცეს სახელმწიფოს დიდი შემოსავალი, ეს არის დაზღვევის მონოპოლია. ამ ზომით ჩვენ უნდა ვისარგებლოთ. დაზღვევა სიცოცხლის, საქონლის, უძრავი ქონების და დაწესება საპენსიო ფონდის სახელმწიფოს მოსამსახურეთათვის დიდ შემოსავალს მოუტანს ხაზინას. მარტო ის ფული, რომელიც გამოერიცხება ჯამაგირიდან სახელმწიფოს მოსამსახურეთ, შეადგენს დიდ თანხას. ჩვენ არ ვიცით, 600—700 მილიონიან ბიუჯეტიდან რამდენი იხარჯება საკუთრივ მოსამსახურეთა ჯამაგირზე, და ამიტომ ვერ ვიტყვით დანამდვილებით რამდენი შეგროვდება მთლად წელიწადში ჯამაგირებიდან გამორიცხული ჯამით.

საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ ჯამაგირების ყოველ 100 მილ. მანეთზე ხაზინაზე დარჩება 5—6 მილ. წელიწადში. არა ნაკლები თანხა შევა ხაზინაში სიცოცხლის, საქონლის და უძრავი ქონების დაზღვევიდან. საზოგადოთ, წესიერად დაყენებული დაზღვევის საქმე შეიძლება გადაიქცეს სახელმწიფოსთვის დიდი შემოსავლის წყაროდ.

ჩვენს ქვეყანაში რომ საქონელი შემოვიდეს და ეს საქონელი გაიაფდეს, საჭიროა იგი განთავისუფლდეს ბაჟისაგან ან და დაწესებულ იქნეს მისთვის სულ მცირე გადასახადი. ამ გზით ჩვენ არამც თუ გავაადვილებთ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო საქონლის შემოტანას და დავწევთ მის ფასებს, არამედ—ამით ჩვენ მოვიპოვებთ ერთ უმთავრეს მიზეზთაგანს, რომელიც იწვევს მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდებას, რასაც სახელმწიფო ხაზინისათვის კარგი შედეგი ექნება.

დღევანდელ მომენტის ერთ უდიდეს საქმეთაგანს შეადგენს გადამდებ სენთან ბრძოლა. ეს ბრძოლა მოითხოვს ათეულ მილიონებს. ამიტომ ჩვენ უნდა შევეცადოთ დამოკიდებულება ვიქონიოთ ამერიკის მისიასთან, და გამოვარკვიოთ საკითხი,—მიიღებს თუ არა ეს მისია მონაწილეობას ჩვენთან ერთად გადამდები სენის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეიძლება ამ მისიის საშუალებით ჩვენ მოვაგვაროთ სესხის აღება ქალაქის ან მთავრობის გარანტიით.

აღნუსხულ ზომების ცხოვრებაში გატარების გასაადვილებლად საჭიროა შევქმნათ ზოგიერთი პირობები, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია დაწესდეს ქართულ-ინგლისური ამერიკულ ბანკი და საგარეო სამრეწველო პალატა ამით ჩვენ გავაადვილებთ კომერციულ ურთიერთობას და დავახლოვდებით ინგლის-ამერიკელებთან.

მაგრამ მთელ ჩვენს მუშაობას ყოველგვარი დაბრკოლებანი გადაელობება, თუ არ შეკრა ეკონომიური კავშირი კავკასიის რესპუბლიკებს შორის. ამიტომ რესპუბლიკათა ხელმძღვანელებისთვის ეს საქმე მუდმივი და განსაკუთრებული ყურადღების საგნათ უნდა იყოს.

ასეთია საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის მთავარი საფინანსო—საეკონომიო პრობლემები. ჩვენ აქ ყველა საკითხებს არ შევეხებივართ. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მხოლოდ უმთავრესი მათგანი. ამათ გადაჭრას და მოგვარებას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ჩვენი საფინანსო საეკონომიო პოლიტიკის ხელმძღვანელები, რომ საქართველოს რესპუბლიკა გამოიყვანონ იმ მძიმე და სახიფათო მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ჩავარდნილია ომის და რევოლიუციის წყალობით.

დ. თოფურიძე.

8 მარტი. 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა შორის

თფილისის საავადმყოფოთა კასების წარმომადგენელთა კონფერენცია.

(გაგრძელება)

კასების გაერთიანების შესახებ კამათი გრძელდება.

ბრაგინ ფიქრობს, რომ დაზღვევის სხვადასხვა სახეები, რომლებზედაც მიგვითითებს აქ ამხ. ბერგმანი, ხელს ვერ შეუშლის კასებში გაერთიანებას. თფილისის საწარმოებში დაზღვევითი სახის კატეგორიები, რომელსაც ცდილობენ თამბაქოს ქარხნის მუშები, ვერასოდეს ვერ იქნება სისრულეში მოყვანილი, ვინაიდან ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ სამრეწველოს ეკონომიურ მდგომარეობას. სცადეთ, მაგალითად, საკარობკე სამრეწველოს გადაახდევინოთ ფული საავადმყოფოთა კასის სასარგებლოთ—მრეწველობა უნდა გაჩერდეს, მაგრამ, თამბაქოს ქარხნის მუშები მაინც დიდ დანაკლისს არ გრძნობენ, რომ მათი კასა არ შეუერთდეს საავტომობილო მრეწველობასთან არსებულ ყოფილ კასას. იქ მუშებისაგან იკრებენ არა 1 პროცენტს, არამედ—ორს. ასეთივე დამატებითი გადასახადი მიღებულ 4 პროცენტისაგან გამოყოფილია 2 პროცენტი—ეს მიდის საავადმყოფოთა კასაში, დანარჩენი 2 პროცენტი კი სანატორიის ფონდში. და ეს 2 პროცენტი ფარავს იმას, რასაც ღებულობენ თამბაქოს საწარმოებისაგან ავათმყოფ მუშათა ნახევარი ჯამაგირის სახით სანიტარულ ფონდში. მართალია, არის ძირითადი განსხვავება იმაში, რომ თამბაქოს ქარხნის მუშები იხდიან 1 პროცენტს, საავტომობილო სამრეწველოებში 2 პროცენტს და ამასთანავე სარგებლობენ ეხლა და იმავე დახმარებით ჯამაგირის სამი მეოთხედით. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიფიქროთ, რომ მუშებს ყველგან მიეცემოდეს ასეთივე მდგომარეობა, მაგრამ ამ კასების გაერთიანებას არავითარი არ უშლის და ნამდვილათ არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის.

რომელი კასები უნდა შეუერთდენ პირველად? რასაკვირველია, უფრო წვრილი კასები, სადაც საქმე არ არის სასურველად მოწყობილი და გაერთიანების შემდეგ შეძლება მათი ყოველ მხრივ გაუმჯობესება. ამაშია გაერთიანების მთელი აზრი. თუ არის მსხვილი კასები, როგორც მაგალითად ტრამვაის მოსამსახურეების, სადაც მათი სიტყვებით საქმიო დახმარება ანგარიში და კონტროლი კარგათ არის მოწყობილი, ამათ შეუძლიათ შემდეგაც შეუერთდენ. ჩვენ ვცდილობთ გაერთიანებას არა გაერთიანებისათვის. თუ შეგვიძლია დავუშვათ, რომ საერთო კასასთან შეერთება ცოტათი მაინც გააუარესებს ტრამვაის ავათმყოფ მოსამსახურეთა მდგომარეობას, თუმცა ეს არ შეიძლება მოხდეს, მაშინ ჩვენ არ შეგვეძლია დაბეჯითებით მოვითხოვოთ გაერთიანება.

ამხ. ჩიკაშუა და მელხურიანი წინააღმდეგნი არიან, რომ ტრამვაის მოსამსახურეთა კასები დაუყონებლივ შეუერთდენ საერთო კასას, რადგანაც ეს გამოიწვევს ზოგიერთ ფონდების კასების მდგომარეობის გაუარესებას და ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მასის სურვილს განწყობილებას. თუ გაერთიანებული კასის მდგომარეობა იმ სიმაღლემდე ავა, რაზედაც ტრამვაის მოსამსახურეთა კასა სდგას, მაშინ თავისთავად მოხდება გაერთიანება. ტრამვაის მოსამსახურეებს პრინციპიალურად არაფერი არა აქვთ საწინააღმდეგო კასების გაერთიანებისა.

ამხ. ელბაქიანი. აქ ხშირად ლაპარაკობენ, რომ „პრინციპიალურად ყველა თანახმაა კასების გაერთიანების", მაგრამ ივიწყებენ, რომ პრინციპი გატარებულ უნდა იქნას ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არაფერი არ არის. ტრამვაის მოსამსახურეთა მოტივები გაუგებრობაზეა დამყარებული, ისინი ერთმანეთში ურევენ ორ გარემოებას: საქმიო დახმარება და ავადმყოფებისთვის დახმარების აღმოჩენა. საქმიო დახმარება ყველა საწარმოებში მრეწველების ხელშია და კასების გაერთიანება არ ნიშნავს, რომ საქმიო დახმარება დაუყონებლივ გადავა საავადმყოფო კასების განკარგულებაში, საქმიო დახმარება ჯერ-ჯერობით დარჩება იმავე სახით, სანამ წესდების 304 მუხლის საწარმოო შრომის შესახებ არ იქნება შეცვლილი მუშებისათვის სასარგებლოდ. ის გაერთიანება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეს პირველი ნაბიჯია საავადმყოფო კასების შეერთებულ მოქმედებისა, მუშების გაერთიანების შეჩვევაა და საერთო მოღვაწეობისა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ძალიან მცირე გვყავს საავადმყოფო კასებში მოზიდებული მუშები, და ისინიც, რომელნიც გვყავს, მსხვილ საავადმყოფო კასებში სხედან და ამით საერთო ინტერესები იჩაგრება, ამის შედეგათ არის ის, რომ ბევრ საავადმყოფო კასებში ისე არ არის საქმე დაყენებული, როგორც უნდა იყოს, ან იქნება საერთო მოქმედების დროს; ჩვენ არა გვაქვს ავადმყოფობის სტატისტიკური ცნობები და ბევრი სხვა საზოგადოები, რომლებიც იქნება გაერთიანების შემდეგ, ვინაიდან საქმე იქნება უფრო კომპეტენტური და მოწესრიგებულ ხელში. მე ვფიქრობ, რომ არავინ არ დაიწყებს კამათს იმაზე, რომ სტატისტიკურ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა ცხოვრების ისტორიისათვის, ჩვენ ვალდებული ვართ ისინი გვქონდეს, რომ მომავალმა თაობამ იცოდეს, როგორი მსხვერპლი გაიღო მათ წინაპრებმა კაპიტალის დასამხობათ.

რაც შეეხება იმ კითხვას, რომ საავადმყოფო კასების კანონის წესდების ზოგი ერთი მუხლი დაძველებულია, ისინი უნდა შეიცვალოს, მაგრამ განა ეს კითხვა არ სდგას დღის წესრიგში,—განა ეს უშლის ხელს გაერთიანებას? არა, ამხანაგებო, ეს სრულიადაც არ უშლის ხელს გაერთიანებას.

ფუტიანი აღნიშნავს, რომ კონფერენციაზე შეკრებილ დელეგატებთა რიცხვი ამტკიცებს გაერთიანების აუცილებლობას.

ელენტი მხარს უჭერს ყველა კასების გაერთიანებას და ამტკიცებს, რომ საერთო კასასთან შეერთებიდან ავტომობილო სამრეწველოს მუშებს არაფერიც თუ არ წაუვათ, პირიქით, ბევრში მოიგებს. საერთოდ—საქმიო დახმარება მაინც დარჩება მრეწველობის ხელში მანამ, სანამ თვითონ არ აიღებენ ამ საქმეს თავიანთ ხელში.

მელხურიანი სცნობს, რომ ამხ. ელბაქიანის განმარტების შემდეგ ადვილად შეძლება კასების გაერთიანება, მაგრამ ეს არ იქნება სრული გაერთიანება, როგორც ამას ისინი ფიქრობენ.

შემოტანილ იქნა ორი წინადადება:

1) ტრამვაის მოსამსახურეების წარმომადგენლების—წინდაწინ შექმნილ იქნას საავადმყოფოთა კასების საერთო ფონდი და შემდეგ შეუდგნენ კასების გაერთიანებას.

2) მუშების ინტერესებისათვის კონფერენცია საჭიროდ მიაჩნია თფილისში არსებულ ყველა საავადმყოფო კასების დაუყონებლივ გაერთიანება. ამ დადგენილების პრაქტიკულად განსახორციელებლად არჩეულ იქნას კომისია, რომელშიც შევლენ ყველა კასებიდან თითო წარმომადგენელი. მუშაობისათვის კომისიას ეძლევა ვადა ამა წლის 1 აპრილამდე. ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა მეორე წინადადება. კომისიაში არჩეულ იქნენ: ელენტი, მიქაძე, ჩიკაშუა, ბაგდოევი, ბერგმანი და საყვარი.

დროებითი საეპიდემიო გადასახადის შესახებ ელბაქიანი აღნიშნავს რა ქალაქში გავრცელებულ ეპიდემიას, საჭიროდ სთვლის დროებითი საეპიდემიო გადასახადის დაწესებას საავადმყოფო კასებისა და მწარმოებელთათვის.

ბრეგის მოყავს ციფრები, რომლებიც აუცილებლად დროებით საეპიდემიო გადასახადის დასაწესებლად. საერთო საავადმყოფო კასების ფონდის დეფიციტი გამოიხატება შემდეგ ციფრებში: იანვარში და თებერვალში შემოვიდა ქარხნის საავადმყოფო კასაში 80 888 მ. ნ. 77 კაპ. გაცემულ იქნა დახმარება 56 658 მან. 38 კაპ.; ამრიგათ, დეფიციტი, რომელიც დაფარულ იქნა სანიტარული ფონდის თანხის სესხიდან, გამოიხატება—25,776 მ. 61 კაპ. ის ფიქრობს, რომ სხვა კასებშიც არ არის საქმე უკეთესად დაყენებული. ჩვენ ვერ შევძლებთ სისწორით გამოვაკვლიოთ ეპიდემიით ავადმყოფთა რაოდენობა, ვინაიდან თავის არსებობის პირველ თვეებში მიღებულ იქნა ქაღალდები, რომლებზედაც არ იყო ეპიდემიის დიაგნოზი. ეხლა მარტიდან შესაძლებელი შეიქნა მოწყობილიყო ეს საქმე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საავადმყოფოთა კასების საქმიანობისათვის. თუ ვიმსჯელებთ ავადმყოფობის ხანგრძლივობისა და ერთი და იმავე პირის რამოდენიმეჯერ ავადმყოფობის მიხედვით, შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ, რომ ეპიდემიურ ავადმყოფობით ავადმყოფთა რიცხვი, (როგორც სახადი წინწყლიანი და მუცლის და ისპანიური ავადმყოფობა) საერთო ავადმყოფების არა ნაკლებ 40 პროცენტისა.

ჩიკაშუა მოითხოვს, რომ დროებითი გადასახადი გაწერილ იქნეს მრეწველებზედაც, ვინაიდან მარტო მუშები ვერ შესძლებენ ამ დეფიციტის დაფარვას.

ელბაქიანი წინადადებას იძლევა დაწესებულ იქნას გადასახადი თვიურად თითო მუშაზე 5 მანეთი ეპიდემიის დროს და ამდენივე უნდა გადაიხადოს მწარმოებლებმა.

ბრეგის წინადადებას იძლევა დაწესებულ იქნას გადასახადის პრინციპი, როგორც მუშებისათვის, ისე მწარმოებლებისათვის. ელბაქიანის 5 მანეთის დაწესებას ის შეუძლებლად სცნობს და მოითხოვს საკითხის ტექნიკურ მხარის მოწყობა მოხდეს მწარმოებლებთან თათბირის მოწყობის შემდეგ.

ელენტი აცხადებს, რომ თუ ჩვენ მივცემთ ერთდროულ გადასახადით დღიურ შემოსავლის ნახევარს, ამით ჩვენ შევინახავთ შემოსავლის პროპორციონალურ პრინციპს და ეს ძლიერ სამართლიანი გადასახადი იქნება. მიღებულ იქნა წინადადება: ცნობილ იქნას აუცილებლად ყველა კასებზე და მწარმოებლებზე დროებითი საეპიდემიო გადასახადის გაწერა. ეთხოვოს შრომის კომისარს მოიწვიოს ამ კვირაში მწარმოებლებისა და კასების წარმომადგენლების თათბირი. დღის წესრიგის მე 4 მუხლი გადაიდო შემდეგი კონფერენციისთვის, რომელიც უნდა შესდგეს 30 მარტს, დილის 9 საათზე.

პროვინცია

ქ. ფოთი. რკინის გზის სადგურიდან ერთ ვერსზე ნავთსადენისაკენ იტალიელ [illegible] ყოფილ სახერხ მანქანის სადგურში არის მოთავსებული ადგილობრივ ჯარის ნაწილების სურსათის საწყობი. აგერ ნახევარ წელზე მეტია თვე არ გაივლის ამ საწყობიდან ორ-სამჯერ ქურდობა არ მოხდეს. იპარავენ უმეტეს ნაწილად შაქარს—თითო ჯერზე არა ნაკლებ ათი-ხუთმეტი ტომრისა. ძალიან მეტად გასაკვირველია ის გარემოება, რომ ქურდობას აქვს ადგილი ისეთი საწყობიდან, რომელსაც დარაჯობს ჯარისკაცი თოფით ხელში. ამას წინათ ყარაულის ცხვირის წინ საწყობის კარებიდან სამი ოთხი საჟენით დაშორებით, გამოჭრიათ ფანჯარა და გაუტანიათ ოცი ტომარი შაქარი დაახლოებით 120 ფუთი. თუ ყარაული ოდნავ მაინც ემსახურებოდა თავის დანიშნულებას, ფანჯრების გამოჭრა და ოცი ტომრის საწყობიდან შეუმჩნევლად გატანა შეუძლებელი და დაუჯერებელია. მერე რა შედეგი მოჰყვა გამოძიებას? ჯერჯერობით სრულიად არაფერი. მხოლოდ ერთ უფროსთაგანის წინადადებით ცოტა შეუკეთებიათ საწყობი. რისთვისაც, რასაკვირველია, თქმა არ უნდა, ხალხის ხაზინიდან საგრძნობი ფული და ხარჯულა და იმავ საწყობიდან კი მორიგ ხელებს მარტის პირველ რიცხვებში კიდევ თვრამეტი ტომარა შაქარი გაურბენინებიათ სპეკულანტთა სამფლობელოში. არ ვიცი დანიშნული ყარაული და საწყობის მომვლელები რანაირ ჩვენებას აძლევენ თუ გამოძიება სწარმოებს, საწყობის გაქურდვის თაობაზე, მაგრამ წინდაწინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ან ყარაული არის მონაწილე ქურდობის, თუ საწყობი რიგიანად იყო შეკეთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში გასაკიცხი და პასუხისმგებელია ის პირი და დაწესებულება, რომლის მიზეზით საწყობი არ შეკეთდა ისე, რომ ქურდობის განახლება შეუძლებელი ყოფილიყო.

ამ მოკლე ხანში ყველა საბუთებითაც დიდძალი სურსათი გაზიდულა ამ საწყობიდან, რაზედაც ერთი ამ საწყობის უფროსთაგანი, რომელიც თურმე მონაწილეობდა ამ სამარცხვინო საქმეში, ჩამოუშორებიათ სამსახურისათვის და პასუხისგებაშიაც მიუციათ. ეტყობა ბოროტმოქმედებები შინაური დახმარებით ხდებოდა.

ვინაიდან დადგა ჟამი ყოველ მავნე ელემენტები თავის დროზე ალაგმულნი იქნენ, ვით დამღუპველნი რევოლიუციის და თავისუფლების მტრებს და ხალხის რისხვის თავიდან ასაშორებლად, ეს საქმე ითხოვს სასტიკ გამოძიებას და ყოველივე ზომების მიღებას, ვისგანაც ჯერ არს ბოროტმოქმედების აღმოჩენაში. მანამ კი, ვინც ვალდებულია სურსათის მთავრობის დახმარებით გამოუნახოს შესაფერი საწყობი და სურსათის გადაზიდვამდე კი ადგილობრივ, ძველ საწყობთან, იქნას გაძლიერებული ყარაული იმ ზომამდე, რომ ქურდობა შეუძლებელი იყოს.

მოქალაქე.

ნატანები. სადგურ ნატანებიდან 28 მარტს საღამოს გავიდა სახალხო მატარებელი სამტრედიაზე; ამ მატარებელში აღმოჩნდნენ ავაზაკები, რომლებმაც გაძარცვეს შიგ მჯდომი ექვსი მგზავრი; სადგურ ნიგოითსა და საჯევახოს შუა. ავაზაკებმა თავდასხმა მოახდინეს წინასწარ შეთანხმებით. ისე, რომ, დანიშნულ ადგილზე, სადაც მატარებელი გაჩერდა, ნაწილი [illegible] რკინის გზის მახლობლათ ყოფილან ჩასაფრებული, რომელნიც ორთქმავალს წინ გადაუდგნენ და მემანქანეს გვერდით ამოუდგნენ და ემუქრებოდნენ, რომ მატარებელი არ დაეძრა. მატარებლის გაჩერების მიზეზის შესატყობათ კონდუქტორები გადმოცვივდნენ და [illegible] ქვეშ „ვესტინგაუზ" სიგნალი დაუწყეს, მაგრამ ისინი რევოლვერებით შეიარაღებულებმა დაიჭირეს. მასთან მილიციონერი თოფით მხარზე ჩამოკიდებული მიდიოდა დასათვალიერებლათ, მაგრამ მასაც მოულოდნელათ თოფში ეცნენ და წაართვეს, შეშინებულ ხალხში აირ დაირია და მრუდს და მართალს ვერავინ გაარჩევდა. მძარცველები წაიმალენ, ფულით გაუტაცნიათ დაახლოვებით 850,000 მანეთამდე.

ივანე გიორგაძე.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ მადლობა გადაუხადო რკინის გზის სასურსათო მაღაზიის მოსამსახურე ამხანაგებს (სადაც ჩემი ქმარი მიხა ივანეს ძე კვერნაძე ამ უკანასკნელ დროს მსახურებდა) ჩემი ქმრის პატივისცემით თანაგრძნობა და ნივთიერად დახმარებისათვის. აგრეთვე დიდ მადლობას ვწირავ რკინის გზის საავადმყოფოს გამგეობას, რომელმაც ჩემი უკანასკნელი გაჭირების დროს ხელი შემიწყვეს და დახმარება გამიწიეს. აგრეთვე მადლობას ვწირავ ზოგიერთ იქაურ მოსამსახურეებს და კერძოთ ძმებს თეოფილე და იოსებ მეგრელიშვილებს და სხვებს ჩემი დახმარებისა და პატივისცემისათვის.

მაკრინე კვერნაძე.

განცხადებანი

იყიდება

საგარაკო ადგილი მტკვრის პირად რკ. ხიდ. [illegible] მახლობლად ადგილი დაახლოვებით ერთი დესიატინა მოშენებული სხვადასხვა ხეხილებით და ვაზით, ადგილთან ერთად იყიდება აგრეთვე სახლი ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობით. შეიძლება აგრეთვე გაიცვალოს საიჯაროთ. პირობების გაგება შეიძლება შემდეგში მისამართით: თფილისი ან დიდუბის ქ. № 58, სახლის [illegible] [illegible].

განცხადება

ქალაქ ოზურგეთის დაცემის დროს ჯარში მსახურობდა ალექსანდრე ცქვიტინაძე და ავადმყოფობის გამო წავიდა ქუთაისის საავადმყოფოში [illegible] თუ ვინმემ რაიმე იცოდეთ ვსთხოვთ გვამცნობოს სადგურ სუფსაში ბესარიონ მითაიშვილს. (3—1)

განცხადება

ბავშვებისა და ქალური შინაგანი ავადმყოფობისა ექიმი ქალი ნინო ანდრიას ასული გიორგიანოვის-ბალანჩივაძისა მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით: 9 საათ. 11 საათამდის საღამოთი: 5 საათ. 7 საათამდე. ნაძალადევი—ჩერქეზოვის ქუჩა № 161 (6—2)

ქართული ლატარია

დავანებოთ თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავი
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვიგვიანდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების სვეტი.
ეხლა [illegible] აქებს,
ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოვეშუროთ მალე
ჩვენ განსწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მსურს მუდამ ვუმღერო,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მიაშურე ერო,
ლატარიას ქართულს".

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი [illegible] და [illegible] ტიპით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

კბილის სამკურნალო კაბინეტი
[illegible]

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

ექიმი

ნ. ლ. ცერაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, სამშობიარო და ქალურ სნეულებებიან ავათმყოფთ დილისით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 [illegible] თეატრის გვერდით.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი

ვ. ნ. გოგიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკისა სამხ. საექ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606" და „914" შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კაჩიბეროვის ქუჩა, № 11.

ექიმი ქალი

რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი ი. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი

ქ. თ. ტუშმალიშვილის

სამკურნალო კაბინეტი

მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდგან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—10)

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალის და საოსტაქრო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 9—53.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

კიროჩნის ქ. № 49, ანდრიევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძნელი და ქრონიკული [illegible]) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავათმყოფობანი, „606" და „914" შეშხაპუნება. მამაკაც ავათმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი

კ ე კ ე ლ ი ა

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი

ანასტასი ლევოვიჩ-ორლოვსკი

მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7. ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—25)

ექიმი

ბესარიონი პოპოვი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

ექიმი

ნ. გ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორღანოვის ქუჩა №10. მიიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

დოქტორი

მ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათ ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი

ალ. გ. მაჭავარიანი.

იღებს საოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ალამოვისა № 111. (მე-2 ფლიგელ) ვერის ტელეფონი № 49.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. [illegible] ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს, 2 აპრილს, სპეტკოს, კანშინას, პოლ ავერის, ივეცკის, დემიანენკოს მონაწილეობით პირველად განახლების შემდეგ

სამსონ და დალილა

ხუთშაბათს 3 აპრილს „ტოსკა".

საქართველოს სახ. რკინის გზის სასურსათო კომიტეტს

ესაჭიროება გამგე

ნავთლუღის მამულისათვის, სავალდებულო იცნობდეს მებოსტნეობას და განსაკუთრებით მწვანილეულობის აღრე მოყვანას. მოლაპარაკება შეიძლება დილის 9—3 ს. მისამართი: ელისაბედის ქ. და მუშტაიდის შესახვევის კუთხე № 200. (6—1)

საქართველოს სახ. რკინის გზის სასურსათო კომიტეტი იწვევს პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ და შეუძლიათ მიაწოდონ კომიტეტს სხვადასხვა

პროდუქტები

მოლაპარაკება შეიძლება დილის 9—3 საათამდე. მისამართი ელისაბედის ქუჩა და მუშტაიდის შესახვევის კუთხე № 200. (6—1)

ქალაქის გამგეობა

აცნობებს ქალაქის მცხოვრებლებს, რომ 1 აპრილიდან დროებით შემოღებულ იქნება რაიონული წყლის მიწოდება: I დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე და საღამოს 8 საათიდან ღამის ორ საათამდე წყალი იქნება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რიყეზე და კუკიაში [illegible] ქ. ქვეით. II შუადღის ორ საათიდან საღამოს 8 საათამდე და ღამის 2 საათიდან დილის 8 საათამდე წყალი იქნება ავლაბარში, ნავთლუღში, დიდუბეში და მიხეილის ქუჩაზე ზევითი ნაწილში. (1—1)

განცხადებანი

ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთ, რომელნიც ამა წლის მარტის 25 დან გადაწყვეტილებით სამსახურიდან თავისუფლებულად ითვლებიან, თუ სურთ ხელახლად სამსახურში დაბრუნება, უნდა ამავე განცხადება შემოიტანონ გამგეობის სეკრეტარიატში აპრილის 8 მდე. მათი სამსახურში მიღება მოხდება იმავე წესით, როგორც უცხო პირებისა.

(1—1)

ქალაქის გამგეობა.

ქართოფილი

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ 31 მარტიდან ამა წლისა დაურიგდებათ კართოფილი სარაიონო და ბინის კომიტეტებს. ფასი კართოფილისა 96 მან. ფუთი, ფუთზე მიეცემათ თითო გირვანქა. სარაიონო და ბინის კომიტეტებმა უნდა გაყიდონ არა უმეტეს 2 მ. და 60 კაპ. გირვანქა. კართოფილი მიეცემათ [illegible], მხოლოდ შემოტანილ უნდა იქნას თხოვნა, შემოწმებული [illegible] სასურსათო კომიტეტის მიერ. (1—1)

„[illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] ქ. 3.